მოქალაქეობა 10

სამართლებრივი კულტურა

მასწავლებლის წიგნი

II ნაწილი

Don't copy

Don't copy

სარჩევი

შესავალი 5
SOLO (დაკვირვებადი სწავლის შედეგების) ტაქსონომია 12
სახელმძღვანელოში გამოყენებული სწავლების მეთოდები 19
მატრიცა 19
რეკომენდაციები პარაგრაფების მიხედვით 36
დანართი 44
ალტერნატიული კომპლექსური დავალებები 47
საათების განაწილება 48
განმავითარებელი კომენტარები 49

Don't copy

Don't copy

შესავალი

პატივცემულო კოლეგებო, წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნს. გვინდა, საინტერესო და ნაყოფიერი სასწავლო წელი გისურვოთ. ვიცით, რომ სკოლაში მუშაობის თითოეული დღე პედაგოგისთვის ახალი გამოწვევა, შესაძლებლობა და გამოცდილებაა. გვესმის, რომ პუბერტატულ ასაკში მყოფი მოსწავლეების სასწავლო პროცესით დაინტერესება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ვიაზრებთ, რამდენად მნიშვნელოვანია საგაკვეთილო პროცესის დიფერენცირებული მიდგომებით წარმართვა, რათა თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ინტერესების შესაბამისი აქტივობების აღმოჩენა. ბავშვთა უფლებების კონვენციის 29-ე მუხლის ა. ქვეპუნქტის შესაბამისად, ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს მისი პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისკენ. ბუნებრივია, გვსურს, მოსწავლეებმა აითვისონ სასწავლო მასალა და აკადემიურად წარმატებული იყვნენ, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მოზარდების თვითრწმენასა და თვითშეფასებაზე ზრუნვა. გარდატეხის ასაკში მოზარდებს განსაკუთრებით სჭირდებათ უფროსების თანადგომა და მხარდაჭერა, რათა მათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ირწმუნონ, მაშინაც კი, თუ ისინი ისე არ სწავლობენ, როგორც ვისურვებდით. სწორედ ამიტომ ვეცადეთ, ჩვენ მიერ შექმნილ სახელმძღვანელოში მაქსიმალურად გაგვეთ-ვალისწინებინა ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გამოწვევა. ვფიქრობთ, ჩვენი სახელმძღვანელო შესაძლებლობას იძლევა, მიღწეულ იქნეს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები და გვეხმარება, მოსწავლეები დავარწმუნოთ თავიანთ შესაძლებლობებში და გავუჩინოთ მოტი-ვაცია, იყვნენ აქტიური მოქალაქეები. სახელმძღვანელო დაგეხმარებათ, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება საბოლოო შედეგზე.

მოსწავლის სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მეათე კლასის სტანდარტის შესაბამისად, მოიცავს 1 სავალდებულო თემას - „სამართლებრივი კულტურა“ თემა დაყოფილია 5 საკითხად საკითხად. თითოეული საკითხი, თავისი შესაბამისი კომპლექსური დავალებით, მოცემულია ერთ პარაგრაფში, რომელზე მუშაობაც რამდენიმე საათს გრძელდება.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში შემოგთავაზებთ: პარაგრაფების საათობრივი განაწილების რუკას; სასწავლო თემატურ მატრიცებს, რომლებშიც ნათლად ჩანს შესასწავლი ცნებები და საკითხები, მათთან დაკავშირებული საკვანძო კითხვები, კომპლექსური დავალების შესრულების ეტაპები, შედეგები და შეფასების კრიტერიუმები; სახელმძღვანელოში გამოყენებული სასწავლო მეთო-დების აღწერას; რეკომენდაციებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების თაობა-ზე; შეფასების რუბრიკებს; მოსწავლის სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ დამატებით თემატურ მასალას.

Dont copy

სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

მოსწავლის სახელმძღვანელო მთლიანად მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესზე.

თემაში შემოთავაზებულია რამდენიმე პარაგრაფი. თითოეული პარაგრაფი/საკითხი მოიცავს, როგორც მის შესაბამის კომპლექსურ დავალებას, ისე თეორიულ მასალასა და აქტივობებს კომპლექსური დავალების შესასრულებლად. კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ, შესაბამისად, საკითხის დასამუშავებლად, განსაზღვრულია რამდენიმე საათი. პარაგრაფებში მოცემული ყველა სავარჯიშოს შესრულება აუცილებელი არ არის და შესაძლებელია, მოსწავლეების ინტერესისა და მზაობის შესაბამისად, მასწავლებელმა მათგან რამდენიმე შეარჩიოს. ასევე, სავარჯიშოების ნაწილი, შესაძლოა, შესრულდეს, როგორც საშინაო დავალება.

სახელმძღვანელო სტრუქტურულად იმგვარადაა აწყობილი, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლის ცოდნის აგების პროცესის ეფექტურობასა და მეტაკოგნიტური უნარების ჩამოყალიბებას. მაგალითად, მოსწავლე პარაგრაფის/საკითხის შესწავლამდე აფასებს საკუთარ ცოდნას და ეცნობა კომპლექსური დავალების პირობას, შემდეგ კი იწყებს მასზე მუშაობას. კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნაში მოსწავლეს ის თეორიული მასალა, ქეისები და პრაქტიკული სავარჯიშოები დაეხმარება, რომლებიც სახელმძღვანელოში უხვადაა მოცემული.

<u>რა არის კომპლექსური დავალება და როგორ ვიმუშაოთ მასზე?</u>

კომპლექსური დავალება არის მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მიერ შექმნილი, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული შემოქმედებითი პროდუქტი (პოსტერი, კომიქსი, ესე, ვიდეორგოლი და ა. შ.), რომელიც პასუხობს წინასწარ ჩამოყალიბებულ შეფასების კრიტერიუმებს.

ხშირად კოლეგები კითხულობენ, რით განსხვავდება ჩვენი ახლანდელი კომპლექსური დავალებები იმ საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებისა თუ პროექტებისგან, რომლებსაც ისედაც ვახორციელებდითო. ვეცდებით, ამ კითხვას ვუპასუხოთ.

მოგეხსენებათ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა მიზნების დონეზე განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეეძლოს და რა ღირებულებები უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს. **ესგ გვთავაზობს გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც ცნებების სახით არის წარმოდგენილი,** მაგალითად, „მოქალაქეობაში“ გვაქვს 4 სამიზნე ცნება, ესენია: დემოკრატია, საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა და მდგრადი განვითარება.

ცნებები რეალურად ჩვენი გრძელვადიანი მიზანია, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსწავლესთან სამწლიანი მუშაობის შემდეგ მას გააზრებული უნდა ჰქონდეს თითოეული მათგანი და ჩამოყალიბებული ჰქონდეს მათი შესაბამისი **მკვიდრი წარმოდგენები.** თავის მხრივ, მკვიდრი წარმოდგენები ცნების ერთგვარი საზღვარი და ის მინიმალური ცოდნაა, რაც მოსწავლეს აღნიშნულ ცნებასთან დაკავშირებით უნდა გააჩნდეს. მაგალითად, ცნება „მდგრადი განვითარება“ საერთოა მოქალაქეობისა და გეოგრაფიის საგნისთვის, თუმცა ამ ორ საგანში მკვიდრი წარმოდგენები სხვადასხვაა, რაც ნიშნავს, რომ ცნება სხვადასხვა ფოკუსით იფარება. ცნება „დრო“ საერთოა საგნებისთვის „ჩემი საქართველო“ (დაწყებითი კლასები) და „ისტორია“ (საბაზო და საშუალო), თუმცა მას, მოსწავლეების ასაკის შესაბამისად, სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული სირთულის მკვიდრი წარმოდგენები შეესაბამება.

Don't copy

მეორე მხრივ, სტანდარტი თითოეული კლასისთვის განსაზღვრავს სავალდებულო შესასწავლ თემატურ ბლოკებს. საკითხები, რომლითაც მასწავლებლები ამ თემატურ ბლოკებს დაფარავენ, შემოთავაზებულია წლიურ პროგრამასა და სახელმძღვანელოებში, თუმცა ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა და პედაგოგებს შეუძლიათ, თავადაც შეარჩიონ/მოიფიქრონ შესაბამისი საკითხი. მაგრამ მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს, არის ის, რომ თითოეულ საკითხს ვიყენებთ, როგორც შინაარსობრივ კონტექსტს, მოსწავლეებში ცნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად, როგორც სქემაზეა მოცემული:



საკითხებს კი კომპლექსური დავალებით ვამუშავებთ. შესაბამისად, კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების იმგვარად ჩამოყალიბებით, რომ ის შერჩეულ ცნებასაც ესადაგებოდეს და შესასწავლ საკითხსაც, ის ერთგვარ შუალედურ მიზნად გადაიქცევა, ანუ თითოეული კომპლექსური დავალებით მოსწავლე არა მარტო რომელიმე საკითხს შეისწავლის, არამედ მას მოქალაქეობის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიც უყალიბდება.

კომპლექსური დავალება ზოგ შემთხვევაში ერთი საკითხის დამუშავებისთვის შეიძლება საკმარისი იყო, თუმცა არა ცნების გააზრებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა საკითხი განსხვავებული ცნებების ჭრილში დავამუშაოთ და საბოლოოდ, სამი წლის მანძილზე განხორციელებული კომპლექსური დავალებებით თანაბრად მოვახერხოთ მოსწავლეებში თითოეული ცნების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება.

რაც შეეხება საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებსაც ისედაც ვახორციელებდით, ისინი ჩვენი პრაქტიკიდან, ბუნებრივია, არ ქრება. პირიქით, კიდევ უფრო აქტიურად გამოვიყენებთ მათ, თუმცა ისინი უკვე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ნაწილი გახდება და მოსწავლეს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაში დაეხმარება. წესით, სავალდებულო თემატურ ბლოკში შემავალი თითოეული საკითხი მოსწავლეებმა კომპლექსური დავალების საშუალებით უნდა შეისწავლონ, რადგან კომპლექსური დავალება მოსწავლეებს ეხმარება, თავიანთ ყოველდღიურობასთან დაკავშირებული კონტექსტის გამოყენებით უკეთ გაიაზრონ ახალი ინფორმაცია და ჩამოუყალიბდეთ ცოდნა, ანუ გამოდის, რომ თავად სწავლა/სწავლების პროცესი მიმდინარეობს საკითხიდან საკითხამდე, ანუ კომპლექსურიდან კომპლექსურამდე პრინციპით. შესაბამისად, თითოეული აქტივობა თუ რესურსი უნდა ესადაგებოდეს ჩვენი შუალედური მიზნის მიღწევას – მოსწავლის მიერ შესასწავლ საკითხთან და სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული კომპლექსური დავალების პროდუქტის შექმნას.

Draft copy

სტრუქტურულად კომპლექსური დავალება მოიცავს სამ მთავარი ასპექტს:

- შესასწავლ საკითხს (სავალდებულო თემატური ჯგუფიდან);
- მოსწავლის მიერ შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტს;
- სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ შეფასების კრიტერიუმებს.

მასწავლებლის წიგნში განთავსებულ მატრიცაში, მოსწავლის სახელმძღვანელოში შესული კომპლექსური დავალებების გარდა, გთავაზობთ ალტერნატიულ დავალებებსაც.

ასევე, თუკი თავად გადაწყვეტთ დამატებით კომპლექსური დავალების შექმნას, გთავაზობთ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შექმნილ კრიტერიუმებს, რომლებსაც კომპლექსური დავალება უნდა აკმაყოფილებდეს.

კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები	**არ აკმაყოფილებს**	**ნაწილობრივ აკმაყოფილებს**	**სრულად აკმაყოფილებს**
კონტექსტი			
1) მკაფიოა, რა ფორმით/ რა პროდუქტის სახით უნდა წარმოადგინოს მოსწავლემ დავალება (რა ფორმით უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა);			
2) კომპლექსური დავალების კონტექსტი ახლოს დგას მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან: • მოსწავლისთვის ნაცნობია/ იოლად აღქმადია დავალების ფორმა (არ სჭირდება იმაზე დაფიქრება, რა ფორმით უნდა გამოხატოს საკუთარი ცოდნა); • მოსწავლისთვის ნაცნობია/ იოლად აღქმადია ცხვრებისეულ, სფერო/კონტექსტი, რომელშიც მას ახალი ცოდნის ტრანსფერი ევალება (ბუნებრივი და იოლად აღქმადია ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელსაც მოსწავლეს კომპლექსური დავალების პირობა სთავაზობს).			
3) კომპლექსური დავალებისთვის კონტექსტი იმგვარადაა შერჩეული, რომ ის ბუნებრივად უკავშირდება საგნობრივ საკითხს, რომლის შესწავლასაც კომპლექსური დავალება ემსახურება			

Don't copy

ახალი ცოდნა			
4) მკაფიოდ ჩანს ერთი კონკრეტული (და არა ზოგადი) საგნობრივი საკითხი, რომელსაც კომპლექსური დავალება შეეხება.			
5) საკითხი იმგვარადაა შერჩეული, რომ ლოგიკურია მისთვის სასწავლო პროცესის ვრცელი მონაკვეთის დათმობა.			
6) დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეს მის შესასრულებლად აუცილებლად სჭირდება საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი ცოდნის შეძენა და პროცედურებზე მუშაობა.			
7) მკაფიოა, რა რესურსზე დაყრდნობით უნდა შეძლოს მოსწავლემ კომპლექსური დავალების პირობასთან მიმართებით საგნობრივი საკითხის შესწავლა.			
განზოგადება			
8) შეფასების კრიტერიუმები მკაცრ კორელაციაშია სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებთან.			
9) შეფასების კრიტერიუმები ბუნებრივად ერწყმის კომპლექსური დავალების პირობას.			
10) შეფასების კრიტერიუმები ფორმულირებულია იმგვარად, რომ მათი დაკმაყოფილებისთვის მოსწავლეს ფაქტობრივი და პროცედურული ცოდნა სჭირდება.			

Don't copy

კომპლექსური დავალება კონსტრუქტივისტული პარადიგმის პრინციპებს ეფუძნება. ეს ნიშნავს, რომ მისი მიზანია:

შინაგანი მოტივაციის გაზრდა – ხელს ვუწყობთ მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაზრდასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამიტომაც დავალება შემოქმედებითია, საკითხი – აქტუალური, შეთავაზებული რესურსები – საინტერესო და მრავალფეროვანი, შეფასება – განვითარებაზე ორიენტირებული, ეს კი, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ზრდას.

წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნება – მოსწავლე ცოდნის შენების პროცესშია, ამრიგად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მისი უკვე არსებული ცოდნა და გამოცდილება გამოვიყენოთ, რათა უკეთ გაიგოს ახალი საკითხები, ახალმა ინფორმაციამ კი, თავის მხრივ, წინარე ცოდნა გაამყაროს.

ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენება – კომპლექსურ დავლებაზე მუშაობისას მოსწავლეს სამივე კატეგორიის (დეკლარატიული – რა? პროცედურული – როგორ? და პირობისეული – რატომ? როდის?) გამოყენება უნდა დასჭირდეს. ამ მიზნის მისაღწევად კი შესაბამისი რესურსები, აქტივობები და საკვანძო კითხვები უნდა გამოვიყენოთ.

ცოდნის ორგანიზება – გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციურად გამოყენებისთვის აუცილებელია, ხელი შევუწყოთ ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

სწავლის სწავლა – მოსწავლეს ვეხმარებით სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში. ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მოსწავლემ აღმოაჩინოს სწავლის სხვადასხვა ხერხი თუ მიდგომა, გააზრებულად დაგეგმოს საკუთარი სწავლის პროცესი და ეფექტურად შეარჩიოს სწავლის მისთვის შესაფერისი, ხელსაყრელი მეთოდი.

თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება და 3 ეტაპისგან შედგება:

1. პირველი – დავალების გაცნობა;
2. მეორე ფაზაში, რესურსების დამუშავების გარდა, მიმდინარეობს მუშაობა თავად შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზეც.
3. მესამე ნაბიჯი კი მოსწავლეების შექმნილი პროდუქტის წარდგენაა.

განმავითარებელი შეფასება

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უდიდესი ადგილი უჭირავს მოსწავლის თვითშეფასებასა და მასწავლებლის მხრიდან გაკეთებულ განმავითარებელი შეფასებას. სწორედ ეს ეხმარება მოსწავლეს, ერთი მხრივ, სწავლის სტრატეგიების დაუფლებაში, მეორე მხრივ კი, შინაგანი ძალების გააქტიურებაში, რადგან განმავითარებელი შეფასება ყურადღებას თანაბრად და დასაბუთებულად ამახვილებს, როგორც დავალების დადებით მხარეებზე, ისე ხარვეზებზე და მათი გადაჭრის გზებზე. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასება მასწავლებლისთვის ერთ-ერთი ხერხია მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად, თუმცა ამავდროულად, მასწავლებელი უნდა უთითებდეს დავალებაში არსებულ ხარვეზებზე და აძლევდეს მიმართულებას, როგორ დაძლიოს სამომავლოდ ეს ხარვეზები და შექმნას უკეთესი დავალება.

Do not copy

განმავითარებელი შეფასების ჩამოყალიბებისას აუცილებლად მაქსიმალურად ობიექ-ტურები უნდა ვიყოთ, მოსწავლის ნაშრომის შექებაც და ხარვეზებზე ხაზგასმაც აუცილებლად და-საბუთებული უნდა იყოს. ასევე, უმჯობესია, აქცენტი ნაშრომზე გავაკეთოთ და არა მოსწავლეზე. მოდი, განვიხილოთ რამდენიმე გავრცელებული მაგალითი.

- ყოჩაღ

თუ მოსწავლის შექება გვინდა, მაშინ მხოლოდ სიტყვა „ყოჩაღ“ არ გვეყოფა, აუცილებელია, დავაკონკრეტოთ, რისთვის იმსახურებს ის შექებას. ასეთ შემთხვევაში მას სამომავლოდაც ეცოდინება, ზუსტად რა გააკეთოს იმისთვის, რომ მისი ნაშრომი უკეთესი იყოს (წაიკითხოს, მსჯელობისას ფაქტები მოიშველიოს და ა. შ.). ხოლო შექებისას მხოლოდ მოსწავლის პიროვნებაზე თუ გავაკეთებთ აქცენტს, ის შეიძლება ზუსტად ვერ მიხვდეს, რისთვის ვაქებთ და შესაბამისად, ვერც გაიმეოროს იგივე.

	არასასურველი ვერსია	**სასურველი ვერსია**
ყოჩაღ	▪ ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ.	▪ ყოჩაღ, ბევრი გიშრომია, რაზეც შენ მიერ მოყვანილი ფაქტები მეტყველებს. ისინი ნამდვილად სწორია და ჩანს. რომ გაკვეთილი წაგიკითხავს.

- მაგრამ

როგორც ვთქვით, განმავითარებელი შეფასებისას ყურადღებას ვამახვილებთ ნაშრომის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, თუმცა ჩვენი კომენტარის ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ძლიერი მხარეების აღწერიდან სუსტ მხარეებზე გადასვლისას სიტყვა „მაგრამ“ არ გამოვიყენოთ. ასეთ შემთხვევაში კომენტარის პოზიტიური ნაწილი თავის ეფექტს დაკარგავს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს სამომავლო მიმართულების მიცემა.

	არასასურველი ვერსია	სასურველი ვერსია
მაგრამ	▪ ყოჩაღ, შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, **მაგრამ** არგუმენტები არ ვარგა.	▪ ყოჩაღ, შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, შენი არგუმენტები კიდევ უფრო დამაჯერებელი რომ გახდეს, შეეცადე. კვლევის მონაცემებით გაამყარო.
	▪ ყოჩაღ, შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, მაგრამ ძალიან ცოტაა.	▪ ყოჩაღ, შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, იმისთვის, რომ შენი მსჯელობა უფრო დასაბუთებული გახდეს, უმჯობესია, მოყვანილი ფაქტები მეტად მრავალფეროვანი იყოს.
	▪ შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, **მაგრამ** არგუმენტები არადამაჯერებელია.	▪ შენი მოყვანილი ფაქტები ნამდვილად სწორია, არგუმენტებს კი დამაჯერებლობა აკლია. შენი აზრით, როგორ შეგიძლია არგუმენტებიც უფრო დამაჯერებელი გახადო?

Don't copy

SOLO (დაკვირვებადი სწავლის შედეგების) ტაქსონომია

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გაკეთებულ განმავითარებელ შეფასებაში აქცენტს ვაკეთებთ კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებზე და სწორედ მათთან მისადაგებით ვაფასებთ მოსწავლის ნაშრომს. შეფასებისთვის ვხელმძღვანელობთ **SOLO ტაქსონომიით,** რომელიც მოსწავლის ცოდნას 5 სხვადასხვა დონეზე აფასებს.

პრესტრუქტურული – როდესაც მოსწავლე არ ფლობს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

უნისტრუქტურული – მოსწავლეს შეუძლია, მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია, ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პერიფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.

მულტისტრუქტურული – როდესაც მოსწავლე ამჟღავნებს საკითხთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტის ცოდნას, თუმცა უჭირს მათ შორის ურთიერთკავშირის დანახვა, მის ნაშრომსა და მსჯელობაში ცნების მკვიდრი წარმოდგენები ფრაგმენტულად და არათანმიმდევრულად ჩანს.

მიმართებითი – როდესაც მოსწავლე ფლობს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მწყობრად და თანმიმდევრულად აყალიბებს აზრებს, მისი ნაშრომი და მსჯელობა სრულად ასახავს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს.

აბსტრაქტული – როდესაც მოსწავლე ფლობს საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მწყობრად და თანმიმდევრულად აყალიბებს აზრებს, მისი ნაშრომი სრულად და სტრუქტურირებულად პასუხობს ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, თუმცა არ შემოიფარგლება ამით. მაგალითად, მსჯელობისას ასევე თავისუფლად ავლებს პარალელებს სხვა საკითხებთან (წინარე ცოდნის ან დამატებით მოძიებული მასალის გამოყენებით) და რაც მთავარია, მისი ნაშრომი და მსჯელობა ესადაგება არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, არამედ ყველა ცნებას.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დასახელებული დონეების შემდეგ განმარტებებს გვთავაზობს:

SOLO ტაქსონომია
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი/არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.
მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

Don't copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
პრესტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.



სოლოტაქსონომიის (დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია) სახელიდან გამომდინარე, ცხადია, რომ იგი საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ სწავლის შედეგებს, ამავე დროს, მისი გამოყენება შესაძლებელია თვითშეფასების ინსტრუმენტადაც, სწორედ ამიტომ ის ჩავაშენეთ მოსწავლის სახელმძღვანელოში. მოსწავლეს ორჯერ, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის დასრულების შემდეგ, ექნება შესაძლებლობა, შეაფასოს საკუთარი ცოდნის დონე. თავდაპირველი თვითშეფასებისას დაფიქრდეს, რა სჭირდება ცოდნის გასაღრმავებლად, ხოლო მეორე თვითშეფასებისას გაიაზროს, რა დაეხმარა ან ვერ დაეხმარა ცოდნის გაღრმავებაში და რა გაითვალისწინოს მომდევნო დავალებაზე მუშაობისას.

შემაჯამებელი კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს სავალდებულო შემაჯამებელი დავალება. ასეთ შემთხვევაში მას უბრალოდ შემაჯამებლის სტატუსი ენიჭება და ფასდება ქულით (განმსაზღვრელი შეფასება), თუმცა თავად დავალება ზუსტად ისეთივე სტრუქტურისაა, როგორისაც სხვა არაშემაჯამებელი კომპლექსური დავალებები. კიდევ ერთი დეტალი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ მოსწავლეები წინასწარ გავაფრთხილოთ, რომელი დავალებაა შემაჯამებელი.

გვთავაზობთ განმსაზღვრელი შეფასების სანიმუშო რუბრიკას:

Don't copy

მოსწავლის სახელი და გვარი ---------- საგანი ---------- კლასი ---------- კომპლექსური დავალება ----------		
შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლე:	ქულა	კომენტარი
იცავს დროით ლიმიტს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში		
მონაწილეობს კომპლექსური დავალების შესრულებაზე ორიენტირებულ საკლასო აქტივობებში		
დამოუკიდებლადაც მუშაობს კომპლექსურ დავალებაზე		
თანამშრომლობს მასწავლებელთან (უსვამს შეკითხვებს, ითვალისწინებს მის რეკომენდაციებს)		
თანამშრომლობს თანაკლასელებთან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში (იღებს და გასცემს რეკომენდაციებს, ინტერესდება სხვების ნამუშევრებით)		
დავალებაზე მუშაობის პროცესში ცდილობს სწავლის სტრატეგიების დახვეწას		
მართებულად იაზრებს, თუ რა პროდუქტი უნდა შექმნას კომპლექსური დავალების ფარგლებში		
ყურადღებას ამახვილებს კომპლექსური დავალებით განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებზე		

Don't copy

სახელმძღვანელოში გამოყენებული სწავლების მეთოდები

დისკუსია

ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია. ის ეხმარება მასწავლებელს, შექმნას დინამიკური სასწავლო პროცესი, რომელშიც მთელი კლასია ჩართული. დისკუსიის გზით გააზრებული ინფორმაცია მეხსიერებაშიც უფრო დიდხანს რჩება და, ამასთან, მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა გამოიმუშაონ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორებიცაა: ეფექტური კომუნიკაცია, ფაქტების გააზრება, საკუთარი აზრის დასაბუთებულად გადმოცემა, თავისუფალი მსჯელობა, ურთიერთპატივისცემა, კრიტიკული აზროვნება და ა.შ. დისკუსიის დროს მასწავლებელი შინაარსობრივ მხარეში არ ერთვება და მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქცია აქვს.

დისკუსია - მრგვალი მაგიდა

დისკუსიის ამ ფორმით ჩატარების დროს თითოეულ მოსწავლეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს პროცესში. მიზანი რაიმე პრობლემის გადაჭრა ან მოსაზრებებს შორის უპირატესობის დადგენა კი არა, მოსწავლეთა შეხედულებების, ცოდნის და ჰიპოთეზების თანაბრად განხილვაა. მსგავსი მიდგომა მოსწავლეს თემის მრავალმხრივ გააზრებასა და შესწავლაში ეხმარება. მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახში სკამები წრიულად იყოს განლაგებული, შექმნილი იყოს უსაფრთხო, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, სადაც თითოეულ ადამიანს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა.

დისკუსია-კუთხეები

ორ საპირისპირო კედელზე სათითაოდ ვაკრავთ თითო ფურცელს, ერთი ფურცლის წარწერაა – „ვეთანხმები“, მეორე ფურცლის – „არ ვეთანხმები“. მოსწავლეებს ვთხოვთ, რომ ოთახის ცენტრში განთავსდნენ. შემდეგ ვკითხულობთ კონკრეტულ საგანთან დაკავშირებულ წინასწარ მომზადებულ დებულებებს, მოსწავლეები კი იმის მიხედვით, ეთანხმებიან თუ არა ჩვენ მიერ წაკითხულ წინადადებას გადაინაცვლებენ კედლის ერთ ან მეორე მხარეს. როგორც კი პოზიცია დაფიქსირებულია მოხალისეებს ვთხოვთ განმარტონ, რატომ დგანან ერთ ან მეორე კედელთან, ან ცენტრში, თუ კი ასეთი შემთხვევა გვექნება.

დისკუსია ხელს უწყობს:

- მოსწავლეთა გააქტიურებას;
- სასწავლო მასალის ათვისებას;
- თვითშეფასების ამაღლებას.

<u>დისკუსია ანვითარებს:</u>

- ეფექტური კომუნიკაციის უნარს;
- კრიტიკული აზროვნების უნარს;
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარს;
- ასერტულობას

დისკუსიის ჩატარებისთვის დამატებითი ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე - http://ncp.ge/ge/activities/aqtivoba-1-diskusia?resid=166

Don't copy

დებატები

მრგვალი მაგიდისგან განსხვავებით, დებატები განსხვავებული პოზიციის მქონე ორ სხვადასხვა ჯგუფს შორის ტარდება. მონაწილეთა მიზანია საკუთარი შეხედულების დაცვა და მსმენელის დარწმუნება თავიანთი არგუმენტების მართებულებაში. დებატები მოსწავლეებს ეხმარება, გამოიმუშაონ ინფორმაციის დამუშავების, ჯგუფური მუშაობის, კრიტიკული მოსმენის, არგუმენტების პოვნისა და ეფექტურად ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეები სწავლობენ განსხვავებული აზრების მოსმენას და ემოციების კონტროლს. დებატების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ერთნაირი დრო მისცეს ორივე მხარეს. არ არის აუცილებელი, დებატებს გამარჯვებული ჰყავდეს. თუმცა, თუ მასწავლებელს მოსწავლეთა შეფასება უწევს, შეიძლება მოსწავლეები მათ მიერ მოფიქრებული არგუმენტების ეფექტურობისთვის ფასდებოდნენ.

<u>დისკუსია ხელს უწყობს:</u>

- მოსწავლეთა გააქტიურებას;
- სასწავლო მასალის ათვისებას.

<u>დისკუსია ანვითარებს:</u>

- ეფექტური კომუნიკაციის უნარს;
- ასერტულობას;
- ჯგუფური მუშაობის უნარს;
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარს;
- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარს.

დებატების ჩატარებისთვის დამატებითი ინსტრუქცია იხილეთ ბმულებზე -
http://mastsavlebeli.ge/?p=2373
https://www.youtube.com/watch?v=qZkwa_k3v0k&t=3s

როლური თამაში

ყველა მასწავლებელს უნდა, მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში აქტიურად და ნაყოფიერად იყვნენ ჩართული. ამისთვის როლური თამაში შესაფერისი მეთოდია. ის საშუალებას იძლევა, კლასში შეიქმნას შემეცნებით-გასართობი განწყობა, რომელიც მოსწავლეებს ხალისით ჩართავს გაკვეთილში და ხელს შეუწყობს ინფორმაციის მრავალმხრივ გააზრებას, რაც მათ თვალსაწიერს აფართოებს. მოსწავლე პროცესში ჩართულია, როგორც ფიზიკურად, ისე – გონებრივად. როლური თამაში ავითარებს შემდეგ უნარებს: შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, ემპათიას და ა.შ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როლური თამაშის გამოყენების მიზანი არის როგორც კოგნიტური, ისე აფექტური და ფსიქომოტორული. როლური თამაშების დაწყებამდე აუცილებელია მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება: მიზნებისა და ინსტრუქციის გამოკვეთა, სცენარის განსაზღვრა და როლების დარიგება. შესაძლოა, ამ ეტაპზე გამოიკვეთონ მოსწავლეები, რომლებიც პროცესის დამკვირვებლები იქნებიან. შესაბამისად, საჭიროა შემუშავდეს შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა კომფორტულად გრძნობს თავს საკუთარ როლში. მომზადების ფაზის შემდეგ იწყება უშუალო გათამაშება. სასურველია, რომ როლში შესვლა და გამოსვლა მცირე რიტუალით ხდებოდეს, მაგალითად, ხაზის დემონსტრაციულად გადაკვეთა, რის შემდეგაც მონაწილე შედის ან გამოდის პერსონაჟის როლიდან.

Don't copy

როლური თამაში ხელს უწყობს:

- ემპათიის განვითარებას;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და მოტივაციის ამაღლებას;
- საკითხის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას;
- ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებას.

როლური თამაში ავითარებს:

- შემოქმედებთ უნარს;
- ეფექტური კომუნიაციის უნარს;

როლური თამაშის წარმართვისთვის დამატებითი ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე – http://ncp.ge/ge/activities/roluri-tamashi-3075?resid=2062

პროექტი

პროექტული სწავლება მოქალაქეობის სწავლებისას ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და საჭირო მეთოდია. ის ეხმარება მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის ანალიზის, პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზების მოძებნის, თანამშრომლობის, მოკლე და

გრძელვადიანი მიზნების დასახვისა და თვითშეფასების უნარების განვითარებაში. ეს უნარები კი აქტიური მოქალაქისთვის აუცილებელია. ჯგუფური მუშაობის დროს ყოველთვის არის საშიშროება, რომ რომელიმე მონაწილე საერთოდ არ იქნება ჩართული ან მხოლოდ ტექნიკური შემსრულებლის როლს დასჯერდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელი ხელს უწყობდეს მოსწავლეების თანაბრად ჩართულობას პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებმა უნდა შეძლონ იმ აქტუალური თემის არჩევა და დამუშავება, რომელზეც აპირებენ მუშაობას. მათ უნდა მოახერხონ მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება და აქტივობების შესაბამისად განსაზღვრა. პროექტის დასრულების შემდეგ კი აუცილებელია პროექტის შედეგების შეფასება. ერთი მხრივ, ეს მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, შეამოწმონ, რამდენად მოახერხეს პროექტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა და ამავე დროს ეხმარება, გამოკვეთონ, რამ შეუწყო და რამ შეუშალა ხელი პროექტის წარმატებით განხორციელებას; რა იყო ჯგუფის სუსტი და ძლიერი მხარეები და რის გათვალისწინება დაეხმარებათ სამომავლოდ პროექტების განხორციელებაში.

პროექტული სწავლება ხელს უწყობს:

- სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და მოტივაციის ამაღლებას;
- ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებას.

როლური თამაში ავითარებს:

- შემოქმედებთ უნარს;
- ეფექტური კომუნიაციის უნარს;
- ჯგუფური მუშაობის უნარს;
- პრობლემის გადაჭრის უნარს;
- თვითრეგულირებადი სწავლის უნარებს;
- კრიტიკული აზროვნების უნარს.

პროექტის ნიმუში და მასთან დაკავშირებული ინსტრუქციები ნახეთ ბმულზე – http://mastsavlebeli.ge/?p=31896

Don't copy

სასწავლო მენიუ

სასწავლო მენიუ დიფერენცირებული სწავლების მეთოდია. ის სხვადასხვა სირთულის დავალებების ნაკრებია, რომელთა დიფერენცირება შესაძლებელია მოსწავლის მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის მიხედვით. დავალებები რამდენიმე ტიპისაა, მათი ნაწილი

სავალდებულო შესასრულებელია, ნაწილი – არჩევითი, ხოლო ზოგიც – არასავალდებულო. მოსწავლეს შეუძლია, თვითონ გადაწყვიტოს, ინდივიდუალურად იმუშავებს დავალებაზე, თუ წყვილსა ან ჯგუფში, რამდენ დროს მოანდომებს მასზე მუშაობას და ა.შ. სასწავლო მენიუზე მუშაობის დროს ძალიან დიდია მოსწავლეთა ავტონომიურობის ხარისხი. ეს მოსწავლეს უვითარებს მეტაკოგნიტურ უნარებს და ზრდის მის დამოუკიდებლობის ხარისხს.

სახელმძღვანელოში უხვადაა სავარჯიშოები, რომელთა დახმარებითაც მასწავლებელს შეუძლია შეადგინოს სასწავლო მენიუ და თავად განსაზღვროს, რომელ დავალებას მიანიჭებს სავალდებულო თუ არჩევით სტატუსს.

სასწავლო მენიუს გამოყენება ხელს უწყობს:

- თითოეული მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში;
- თვითშეფასების ამაღლებას;
- საკითხის მრავალმხრივ შესწავლას.

როლური თამაში ავითარებს:

- მეტაკოგნიტურ უნარებს;
- კრიტიკული აზროვნების უნარს.

სასწავლო მენიუსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - http://mastsavlebeli.ge/?p=27909

მასალის დამუშავება – პრესკონფერენცია

აქტივობა რამდენიმე ეტაპისგან შედგება, პირველ ჯერზე ვამზადებთ რესურსს, რომელიცგ ვინდა რომ მოსწავლეებს გავაცნოთ (სტატია, ფილმი, ილუსტრაცია, ფორმულა და ა.შ.,). მოგვიანებით, უკვე სასწავლო სივრცეში ფურცლებზე ჩამოვწეროთ თითოეული მოსწავლის სახელი, გადავკეცოთ ისე, რომ არ ჩანდეს, და მოსწავლეების თვალწინ ამოვიღოთ 2-3 მათგანი. ის მოსწავლეები, რომელთა სახელებსაც ამოვიღებთ უნდა გახდნენ ექსპერტები, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები ჟურნალისტები. ვაძლევთ დროს, დაახლოებით 20-30 წუთი. რომ გაეცნონ კონკრეტულ ჩვენ მიერ მომზადებულ/მოძიებულ მასალას, რის შემდეგაც დაიწყება სატელევიზიო შოუ. ექსპერტები დასხდებიან ცენტრში, ხოლო ჟურნალისტები – ექსპერტების გარშემო. ჟურნალისტები ექსპერტებს დაუსვამენ შეკითხვებს დამუშავებული მასალიდან, რომელზე პასუხის გაცემაც მოუწევთ ექსპერტებს. მასწავლებელი აქტივობის ბოლოს შეაჯამებს განვლილ მასალას და გააკეთებს შესაბამის აქცენტებს.

სასწავლო მასალის ამ აქტივობით დამუშავება ხელს უწყობს:

- თითოეული მოსწავლის ჩართვას საგაკვეთილო პროცესში;
- თვითშეფასების ამაღლებას.

ეს აქტივობა ავითარებს:

- ჯგუფური მუშაობის უნარებს;
- კრიტიკული აზროვნების უნარს.

Don't copy

მატრიცა

თემა: სამართლებრივი კულტურა	**საათების სავარაუდო რაოდენობა – 40**
• **თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:** • დემოკრატიული საზოგადოება სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოებაა • საზოგადოებას უდიდესი როლი აქვს ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებაში • დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიღებული კანონის ობიექტური და თანმიმდევრული აღსრულება ხელს უწყობს სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას • ადამიანის უფლებების დაცვა დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა • სახელმწიფოში, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს სამართლებრივი კულტურა მაღალია • საერთო კონსენსუსის შედეგად მიღებული საზოგადოებრივი წესები/კანონები ხელს უწყობს საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას • სახელმწიფო სტრუქტურების კანონზე დაფუძნებული და გამართული მუშაობა სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია • მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კანონშემოქმედებით პროცესებში • საზოგადოების დამოკიდებულებას დანაშაულის მიმართ უდიდესი როლი აქვს დანაშაულის შემცირებაში • სახელმწიფო ძალაუფლების დანაწილება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანია • სამართლებრივი სახელმწიფო სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოების გარეშე არ არსებობს	**თემასთან დაკავშირებული საკვანძო შეკითხვები** • რატომ არის აუცილებელი სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოება დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის/განვითარებისთვის? • როგორ და რატომ უნდა დაიცვას სახელმწიფომ ადამიანის უფლებები? • როგორ უნდა შეიტანოს წვლილი მოქალაქემ სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში? • როგორ და რატომ შეუძლია მოქალაქეს კანონშემოქმედებით პროცესებში მონაწილეობა? • რატომ და როგორ უნდა შეიტანოს წვლილი მოქალაქემ დანაშაულთან ბრძოლაში?

Don't copy

• ცალკეულ მოქალაქეს შეუძლია წვლილი შეიტანოს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში • სამართლებრივი სახელმწიფო ტოტალიტარული სახელმწიფოს ანტიპოდია • სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები დაცულია • მოქალაქეთა ჩართულობა დანაშაულის შემცირებაში მნიშვნელოვანია			
მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:			
კომპლექსური დავალებები (დასახელება)	**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**საკითხები**	**საკვანძო შეკითხვები**
საგაზეთო სტატია საზოგადოებრივი წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ	საზოგადოება	საზოგადოებრივი წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობა	როგორ წარმოვაჩინო საგაზეთო სტატიის მეშვეობით წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობა
კომიქსის შექმნა ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების როლი შესახებ	დემოკრატია	სახელმწიფო სტრუქტურების როლი ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში	როგორ წარმოვაჩინო კომიქსის მეშვეობით სახელმწიფო სტრუქტურების როლი ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში
ოსტერის შექმნა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესახებ	დემოკრატია	სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები	როგორ წარმოვაჩინო სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები პოსტერის მეშვეობით
საკანონმდებლო ინიციატივის/პეტიციის/საკანონმდებლო ინიციატივის შექმნით კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა	დემოკრატია მდგრადი განვითარება სამოქალაქო მონაწილეობა	კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა	როგორ მივიღო მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში
ვიდეო რგოლის შექმნა თემაზე „საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში“	დემოკრატია მდგრადი განვითარება სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოება	საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში	როგორ წარმოვაჩინო ვიდრეო რგოლის მეშვეობით საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში

Don't copy

გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** საზოგადოებრივი წესები; **ქვეცნებები:** მოთხოვნილებები; ინტერესები; ეთიკა; ტრადიციები	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ წარმოვაჩინო საგაზეთო სტატიის მეშვეობით წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობა	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) **(მოქ.საშ.1, 2, 4)** 1. ადამიანი არის პიროვნება, საკუთარი მსოფლმხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქტების და სხვა) მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვითარებას;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები): **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1.** **რესურსი/აქტივობა: როგორ იწერება სტატია_ shorturl.at/bhz56** **როგორ დავწერო კარგი სტატია https://rogor.ge/article/1103-rogor-davcerot-kargi-statia/** **დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები**: 1.რა არის საგაზეთო სტატია 2.რატომ იქმნება საგაზეთო სტატიები 3.როგორ დავწერო საგაზეთო სტატია? **II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი 1.** რატომ არის საჭირო უსაფრთხო გარემო პიროვნების თავისუფლად ჩამოყალიბებაში და როგორ უწყობს ამას ხელს საზოგადოებაში არსებული შეთანხმებული და აღიარებული წესები? **(საზ. მკ.წ. 1;3;4)** რას ისახავს მიზნად საზოგადოებრივი წესების არსებობა? და როგორ ეხმარება ადამიანებს შეთანხმებული წესები მშვიდობიან თანაცხოვრებაში? **რესურსი/აქტივობა:** **პარაგრაფი N1** საზოგადოებრივი ხელშეკრულება • რა საჭიროა წესების არსებობა? • როგორ ყალიბდება წესები? **სავარჯიშო N1, N2; N3,** **აქტივობები: დისკუსია, დებატები**	**გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას და ისტორიებს წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ (აქტივობები N4 და N5). დამუშავებული მასალის გამოყენებით შექმენით საგაზეთო სტატია, სათაურით _ „რისთვის გვჭირდება წესები“.** **საგაზეთო სტატიაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:** • რატომ არის საჭირო უსაფრთხო გარემო პიროვნების თავისუფლად ჩამოყალიბებაში და როგორ უწყობს ამას ხელს საზოგადოებაში არსებული შეთანხმებული და აღიარებული წესები? **(საზ. მკ.წ. 1;3;4)**

Don't copy

3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან /ინსტიტუციებთან ურთიერთობა ადამიანს პიროვნულ განვითარებაში უწყობს ხელს;
4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1.რას გულისხმობს საზოგადოებრივი წესები? 2.რატომ არის საზოგადოებრივი წესების არსებობა მნიშვნელოვანი მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის? 3.როგორი უნდა იყოს წესები იმისთვის რომ მან ხელი შეუწყოს საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას? 4.იმსჯელეთ, რა მოხდება, თუ სამოქმედო წესებზე ვერ შევთანხმდებით ან შეთანხმების შემდეგ არ დავიცავთ მათ? 5.როგორ გადმოვცე აღნიშნული ინფორმაცია საგაზეთო სტატიაში?

ნაბიჯი 2.

როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? და რა როლი აქვს ცალკეულ მოქალაქეს საზოგადოებრივი წესების შექმნასა თუ დაცვაში? **(საზ. მკ.წ. 2)**
როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? **(საზ. მკ.წ. 2)**

რესურსი/აქტივობა:
პარაგრაფი N1 საზოგადოებრივი ხელშეკრულება
- კანონი - შექმნა და აღსრულება

სავარჯიშო N1, N2; N3, N4
სავარჯიშო: გონებრივი იერიში, დისკუსია

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1.გაიხსენეთ მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდა, რა ტიპის მოთხოვნილებები არსებობს? 2.რატომ სჭირდება ადამიანებს წესები მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის? 3.რატომ უნდა გაითვალისწინონ ადამიანის მოთხოვნილებები საზოგადოებრივი წესების შემუშავებისას? 4.როგორ გადმოვცე აღნიშნული ინფორმაცია საგაზეთო სტატიაში?

- როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? და რა როლი აქვს ცალკეულ მოქალაქეს საზოგადოებრივი წესების შექმნასა თუ დაცვაში? **(საზ. მკ.წ. 2)**
- რატომ არის მნიშვნელოვანი ასერტულობა საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობებისთვის? და როგორ უკავშირდება საზოგადოების ჰარმონიული ურთოერთობა საზოგადოებრივ წესებს და მოთხოვნილებებს? **(საზ. მკ.წ. 2; 3; 4)**

Don't copy

	მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები: • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი საგაზეთო სტატია? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • რატომ ფიქრობ, რომ შენს მიერ შექმნილი დავალება საგაზეთო სტატია? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	• როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? **(საზ. მკ.წ. 2)** **მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები** ადამიანის უფლებები **ქვეცნებები:** ძალაუფლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური დანაწილება უდანაშაულობის პრეზპუმცია **საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ წარმოვაჩინო კომიქსის მეშვეობით სახელმწიფო სტრუქტურების როლი ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებ-რივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4) 1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანას-წორი, საკუთარი ღირ-სებითა და უფლებებით;	**I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1.** **რესურსი/აქტივობა:** კომიქსის ნიმუშები შეგიძლიათ ნახოთ საიტზე. http://www.electionsportal.ge/ **დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები**: რა არის კომიქსი? რატომ არის კომიქსით ინფორმაციის გადაცემა ეფექტური? როგორ შევქმნათ კომიქსი	

Don't copy

2.ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;

3.დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1 რატომ არის ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი? **(დემოკ. მკ.წ. 1; 4)**

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N2 სახელმწიფოს მიზანი და სტრუქტურა

- ადამიანის უფლებები
- სახელმწიფოს მიზნები და ადამიანის უფლებების დაცვა

სავარჯიშო N3

აქტივობები: გონებრივი იერიში; დისკუსია

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1.რა არის ადამიანის უფლებები? 2.რა უფლებები აქვს ადამიანს? 3.რატომ არის მათი დაცვა მნიშვნელოვანი? 4.როგორ გადმოვცე მიღებული ინფორმაცია კომიქსის მეშვეობით?

ნაბიჯი 2. ვის ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და როგორ უნდა იცავდეს ამ უფლებებს? **(დემოკ. მკ.წ.2; 3)**

ნაბიჯი 3. ადამიანის უფლებების დაცვის რა მექანიზმები არსებობს? **(დემოკრ. მკ.წ.2; 3)**

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N2 სახელმწიფოს მიზანი და სტრუქტურა

- რას წარმოადგენს სახელმწიფო?
- ადამიანის უფლებები
- ვის ინტერესებს იცავს სახელმწიფო?
- სახელმწიფოს მიზნები და ადამიანის უფლებების დაცვა
- მოქალაქე და სახელმწიფო სტრუქტურები
- ურთიერთობა კანონთან

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით კომიქსი, რომელშიც წამოაჩენთ სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ არის ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი? **(დემოკ. მკ.წ. 1; 4)**
- ვის ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და როგორ უნდა იცავდეს ამ უფლებებს? **(დემოკ. მკ.წ.2; 3)**
- ადამიანის უფლებების დაცვის რა მექანიზმები არსებობს? **(დემოკრ. მკ.წ.2; 3)**

მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი

Don't copy

4.დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.	სავარჯიშო N3 N4 N5 N7 N10 N11 N12 N13 N14 აქტივობები: დისკუსია; დებატები **დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები** 1.ვის ევალება ადამიანის უფლებების დაცვა? 2.როგორ იცავს სახელმწიფო ადამიანის უფლებებს? 3.რას ემსახურება ძალაუფლების ჰორიზონტალური დანაწილების პრინციპი? 4.რატომ არის იგი აუცილებელი საზოგადოების ხელისუფლებისაგან დასაცავად? 5.უფლებების დაცვის რა მექანიზმები არსებობს? 6.ადამიანის უფლებების დაცვაში რა როლი აქვს თავად მოქალაქეს? 7.როგორ გადმოვცე ინფორმაცია კომიქსის სახით? **მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:** • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი კომიქსი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?		
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** კანონის უზენაესობა **ქვეცნებები:** ტოტალიტარიზმი ავტორიტარიზმი სუვერენიტეტი	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ წარმოვაჩინო სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები პოსტერის მეშვეობით	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**

Don't copy

დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)

1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;
2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;
3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (რესურსები, აქტივობები):

I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა

ნაბიჯი 1.

რესურსი/აქტივობა:

პოსტერი:

როგორ შევქმნათ პოსტერი – shorturl.at/dimoU

პოსტერის შექმნა – shorturl.at/artwY

ინფოგრაფიკის ნიმუშები shorturl.at/aIrz6

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	რა არის პოსტერი/ინფოგრაფიკა? რატომ არის პოსტერით/ინფოგრაფიკით ინფორმაციის გადაცემა ეფექტური? როგორ შევქმნათ პოსტერი/ინფოგრაფიკა?

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1 რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო საიდან მოდის და რა როლი აქვს კანონს ასეთ სახელმწიფოში?

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N3 სამართლებრივი სახელმწიფოს არსი

- სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ისტორია
- სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები
- საქართველო – სამართლებრივი სახელმწიფოა

სავარჯიშო N 1 N3 N4

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით პოსტერი/ ინფოგრაფიკა რომელშიც წამოაჩენთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და მათ განსხვავებას არადემოკრატიული სახელმწიფოებისგან.

პოსტერში/ინფოგრაფიკაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო საიდან მოდის და რა როლი აქვს კანონს ასეთ სახელმწიფოში?

(დემოკ. მკ.წ. 4; 3)

- რით განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფო არასამართლებრივი სახელმწიფოსგან? როგორ აისახება ეს სხვაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე?

(დემოკ.მკ.წ. 3; 4)

Don't copy

4. დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

აქტივობა: გონებრივი იერიში; დისკუსია; ჯგუფური მუშაობა

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1. რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო? 2. როგორია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები 3. როგორ ფუნქციონირებს სამართლებრივი სახელმწიფო? 4. რატომ არის კანონი უზენაესი სამართლებრივ სახელმწიფოში? 5. როგორ უნდა იქმნებოდეს კანონი, რომ ის სამართლებრივ სახელმწიფოს ნიშნად მივიჩნიოთ? 6. როგორ გადმოვცე მიღებული ინფორმაცია პოსტერის სახით.

ნაბიჯი 2. რით განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფო არასამართლებრივი სახელმწიფოსგან? როგორ აისახება ეს სხვაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე? **(დემოკ.მკ.წ. 3; 4)**

რესურსი/აქტივობა:
პარაგრაფი N3 სამართლებრივი სახელმწიფოს არსი
• ტოტალიტარიზმი და სამართლებრივი სახელმწიფო
სავარჯიშო N2 N3 N8 N9 N10 N11

აქტივობა: გონებრივი იერიში; დისკუსია; ჯგუფური მუშაობა

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1. რას ნიშნავს ტოტალიტარიზმი? 2. რით განსხვავდება ტოტალიტარიზმში არსებული კანონები ან მათ აღსრულების მექანიზმები დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული კანონებისგან და მათი აღსრულების მექანიზმებისგან? 3. როგორ აისახება ეს სხვაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე? 4. როგორ გადმოვცე მიღებული ინფორმაცია პოსტერის სახით?

Draft copy

	მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები: • აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი; • აღწერე რა პროდუქტი შექმენი; • რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება? • ახსენი, რატომ შექმენი პოსტერი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით? • შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?		
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** კანონის აღსრულება; ხელისუფლების შტოები; საკონსტიტუციო სასამართლო **ქვეცნებები:** სამოქალაქო აქტივიზმი	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ მივიღო მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4) 1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება; 2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები): **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1.** **რესურსი/აქტივობა:** **ნიმუშები:** **საკანონმდებლო წინადადება –** shorturl.at/aPRS8 **პეტიცია –shorturl.at/hlwxz** **საკანონმდებლო ინიციატივა** shorturl.at/dFLN2		კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა მოქალაქის ერთ-ერთი უფლებაა. შექმენით საკანონმდებლო ინიციატივა/საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია, რომლითაც მოითხოვთ რაიმე საკითხის შესახებ კანონის მიღებას ან შეცვლას. გააცანით თქვენი იდეა ოჯახის წევრებს, სკოლის საზოგადოებას და შეაგროვეთ ხელმოწერები.

Don't copy

3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან;
4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება;
5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს.

მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)

1. რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	რა არის საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია/საკანონმდებლო ინიციატივა? რატომ არის მნიშვნელოვანი სამოქალაქო მონაწილეობის ფორმების გამოყენება? საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია/საკანონმდებლო ინიციატივა?

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი 1 რატომ უნდა მიიღოს/შეცვალოს თქვენ მიერ მითითებული კანონი საკანონმდებლო ორგანომ? (დემკ. მკ.წ. 2; 3)

ნაბიჯი N1 რატომ და როგორ უნდა დაუჭირონ მხარი მოქალაქეებმა ამ იდეას? (სამ.მონ. მკ.წ 1; 2; 3; 4; 5)

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N4 მოქალაქეთა როლი სამართლებრივ კულტურის დამკვიდრებაში

• კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის უფლება

სავარჯიშო N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N11, N13

აქტივობები:

ჯგუფური მუშაობა პრობლემის იდენტიფიცირებისთვის

კვლევა პრობლემის დასაბუთებისთვის

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1.რომელი პრობლემის მოგვარებას ეხება აღნიშნული იდეა? 2.ვისზე ახდენს გავლენას აღნიშნული პრობლემა? 3.რომელი უფლებებით სარგებლობას აფერხებს შერჩეული პრობლემა? 4.რატომ უნდა მიიღოს შეცვალოს მითითებული კანონი საკანონმდებლო ორგანომ? 5.როგორ გადმოვცე ეს ინფორმაცია კომპლესური დავალების პროდუქტში

საკანონმდებლო ინიციატივაში/საკანონმდებლო წინადადებაში/პეტიციაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ უნდა მიიღოს/შეცვალოს თქვენ მიერ მითითებული კანონი საკანონმდებლო ორგანომ? **(დემკ. მკ.წ. 2; 3)**
- რატომ და როგორ უნდა დაუჭირონ მხარი მოქალაქეებმა ამ იდეას? **(სამ.მონ. მკ.წ 1; 2; 3; 4; 5)**
- როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე ისე მთლიანად საზოგადოებაზე? **(მდგ. განვ. მკ. 1; 2)**

მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:

Don't copy

2. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).

დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4)

1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;
2. ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;
3. დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;

ნაბიჯი 2. როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე ისე მთლიანად საზოგადოებაზე? **(მდგ. განხ. მკ. 1; 2)**

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N4 მოქალაქეთა როლი სამართლებრივ კულტურის დამკვიდრებაში

- კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის უფლება
- კანონის აღსრულების მნიშვნელობა

სავარჯიშო N1 N2 N3 N4 N5 N6 N7 N8 N9 N10 N11 N12 N13

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1. როგორ მოქმედებს შეთანხმებულად მიღებული წესები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე? 2. როგორ გავლენას ახდენს დემოკრატიული პრინციპებით მიღებული კანონის ობიექტური აღსრულება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე? 3. როგორ მოაგვარებს შერჩეულ პრობლემას ინიცირებული კანონი და რა გავლენას იქონიებს ეს ადამიანების ცხოვრებაზე? 4. როგორ გადმოვცე მიღებული კომპლექსური დავალების პროდუქტში?

მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია/ საკანონმდებლო ინიციატივა? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?
- შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?
- რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
- მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?
- შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?

Demo copy

4.დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.			
გრძელვადიანი მიზანი **სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**საკითხი/ქვესაკითხები:** ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა **ქვეცნებები:** ძალადობა	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები** როგორ წარმოვაჩინო ვიდრეო რგოლის მეშვეობით საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში	**შუალედური სასწავლო მიზანი** **კომპლექსური დავალების პირობა**
დემოკრატია (ადამიანის უფლებები, სამართლებრივი დოკუმენტები, დემოკრატიის პრინციპები) (მოქ.საშ.1,2,3,4) 1.ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, საკუთარი ღირსებითა და უფლებებით;	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები): **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** **ნაბიჯი 1.** **რესურსი/აქტივობა:** ვიდეოების შექმნისთვის შეიძლება, გამოიყენონ სმარტფონი და თავად გადაიღონ კადრები ან ვიდეო ააწყონ ინტერნეტში არსებული მასალით. ვიდეოების გადასაღებად შეიძლება გამოიყენონ საიტები: https://biteable.com/ ან https://www.kapwing.com/ სიუჟეტის ნიმუში - ლიანა მარქარიანის სიუჟეტი - შტრიხკოდი- მისტიური ხაზები და ციფრები მნიშვნელოვანი ინფორმაციით https://www.facebook.com/watch/?v=366453634672088		გაეცანით მოცემულ პარაგრაფს, აირჩიეთ რომელიმე დანაშაული (მაგალითად ოჯახში ძალადობა) და შექმენით ვიდეო სიუჟეტი თემაზე **„საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში“**

Don't copy

2.ადამიანს აქვს სამოქალაქო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კოლექტიური უფლებები; საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო დოკუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები) ამ უფლებების დაცვას უზრუნველყოფს;
3.დემოკრატიულ საზოგადოებაში/ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები უმთავრესი ღირებულებაა;
4.დემოკრატია ეფუძნება ფუნდამენტურ პრინციპებს (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, ხელისუფლების დანაწილება, სამართლიანი არჩევნები, პასუხისმგებლობა, ინკლუზიურობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება, ტოლერანტობა), რომელთა დაცვის გარეშეც დემოკრატიული სახელმწიფო ფუნქციონირებას ვერ შეძლებს.

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	1.რა არის ვიდეოსიუჟეტი 2.რატომ არის ინფორმაციის გადაცემა სიუჟეტის ეფექტური? 3.როგორ გადავიღო ვიდეორგოლი?

II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი

ნაბიჯი N1

- როგორ აისახება შერჩეული დანაშაული პიროვნების ცხოვრებაზე, მის განვითარებასა თუ უსაფრთხოებაზე? ასევე, საზოგადოების ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე? **(საზ. მკ.წ. 1; 2) (მდგ.გა. მკ.წ 1)**
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში? ვინ და როგორ უნდა დაიცვას ეს უფლებები? **(დემოკ. მკ.წ 1; 2; 3)**

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N5 საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ

- ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა
- **რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა?**
- **ძალადობის სახეები**

სავარჯიშო N 1, N2, N3, N4, N5, N6

აქტივობა - დისკუსია; გონებრივი იერიში; ჯგუფური მუშაობა

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	• რას ნიშნავს დანაშაული? • რა ტიპის დანაშაულები შეიძლება არსებობდეს? • როგორ გავლენას ახდენს დანაშაული მსხვერპლის, დამნაშავისა და მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე? • როგორ აისახება დანაშაული ადამიანის უფლებებზე? • როგორ გადმოვცე ინფორმაცია ვიდეოსიუჟეტის მეშვეობით?

ვიდეო სიუჟეტში თვალნათლივ წარმოადგინეთ:

- როგორ აისახება შერჩეული დანაშაული პიროვნების ცხოვრებაზე, მის განვითარებასა თუ უსაფრთხოებაზე ასევე, საზოგადოების ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე, სახელმწიფოზე? **(საზ. მკ.წ. 1; 2) (მდგ.გა. მკ.წ 1)**
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში? ვინ და როგორ უნდა დაიცვას ეს უფლებები? **(დემოკ. მკ.წ 1; 2; 3)**
- როგორია საზოგადოების დამოკიდებულებები აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით? **(საზ. მკ.წ. 1)**
- როგორია მოქალაქეების როლი მსგავსი დანაშაულების შემცირებაში? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგან ამისთვის? **(სამ. მონ. 2; 3, 4, 5, მდ.განნ. მკ.წ 2)**

მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:

Don't copy

მდგრადი განვითარება (მოქ.საშ.3)

- რესურსების მოხმარებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ინტერესებისა და მომავლის პერსპექტივის გათვალისწინება;
- ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები მოსდევს (მაგალითად, გარემოზე ზრუნვა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოქმედებებით იწყება (მაგ., ნაგვის ძირს არ დაყრა, პოლიეთილენის პარკზე უარის თქმა).

სამოქალაქო მონაწილეობა (მოქ.საშ.2,4)

1. დემოკრატიული საზოგადოება არის სამოქალაქო საზოგადოება რომელიც აქტიური მოქალაქეებისგან შედგება;
2. სამოქალაქო მონაწილეობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე/ქვეყანაზე ზრუნვის საშუალებაა;

ნაბიჯი N3

- როგორია საზოგადოების დამოკიდებულებები აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით? (საზ. მკ.წ. 1)

ნაბიჯი N4

- როგორია მოქალაქეების როლი მსგავსი დანაშაულების შემცირებაში? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგან ამისთვის? (სამ. მონ. 2; 3, 4, 5, მდ.განვ. მკ.წ 2)

რესურსი/აქტივობა:

პარაგრაფი N5 – საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ

- ცალკეული მოქალაქის როლი

სავარჯიშო N2, N3, N5 N6 N7

აქტივობა – რესურსის განხილვა, დისკუსია; გამოკითხვა;

დეკლარატიულ, პირობისეულ და პროცედურულ ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები	• როგორია საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ? • რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოების სწორი დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ მისი აღმოფხვრისთვის? • რატომ და როგორ უნდა იზრუნონ მოქალაქეებმა დანაშაულის შემცირებაზე? • როგორ გადმოვცე მიღებული ინფორმაცია ვიდეო სიუჟეტის ფორმით?

მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე რა პროდუქტი შექმენი;
- რა საკითხს შეეხება შენს მიერ მომზადებული დავალება?
- ახსენი, რატომ შექმენი ვიდეო სიუჟეტი? რისი თქმა გინდოდა მისი საშუალებით?

Don't copy

3. აქტიური მოქალაქეები სხვადასხვა გზით (სოციალური პროექტების დაგეგმვა-განხორციელებით, მოხალისეობრივი საქმიანობით, ადვოკატირებით, ლობირებით) ზრუნავენ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. ამ დროს ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან; 4. სამოქალაქო მონაწილეობის დროს მნიშვნელოვანია სხვა ადამიანების ინტერესების გათვალისწინება; 5. სამოქალაქო მონაწილეობა გამორიცხავს ძალადობრივ ქმედებებს. **საზოგადოება (პიროვნება, ინდივიდი, სოციალიზაცია) (მოქ.საშ.1, 2, 4)**	• შენი აზრით, ვინ უნდა დაინტერესდეს შენს მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებით და რატომ? • რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? • რას გააკეთებდი სხვაგვარად ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის, ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

Don't copy

1. ადამიანი არის პიროვ-ნება, საკუთარი მსოფლ-მხედველობითა (იდეები, ღირებულებები) და მისწრაფებებით; მას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება; 2. ადამიანს გააჩნია სხვადასხვა (ფიზიოლო-გიური, უსაფრთხოების, სოციალური კონტაქ-ტების და სხვა) მო-თხოვნილებები, რომელ-თა დაკმაყოფილების გარეშე ის ვერ შეძლებს პიროვნულ განვი-თარებას; 3. სხვა ადამიანებთან/ სოციალურ ჯგუფებთან / ინსტიტუციებთან ურ-თიერთობა ადამიანს პი-როვნულ განვითარებაში უწყობს ხელს; 4. ასერტულობა (ადამიანის უნარი თამამად გამოხატოს საკუთარი აზრი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე) ხელს უწყობს პიროვნების და სოციუმის ჰარმონიულ ურთიერთობას.		

Don't copy

რეკომენდაციები პარაგრაფების მიხედვით

პარაგრაფი N1 საზოგადოებრივი ხელშეკრულება

მოსწავლეს დაეხმარება, გაერკვეს, რატომ არის საჭირო ყველასათვის ერთიანი რეგულაციების არსებობა, როგორ ყალიბდება ეს წესები, როგორ ხდება მათი აღსრულება

პარაგრაფი მოიცავს 4 საერთო-საკლასო აქტივობას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს 1 კომპლექსური დავალება.

საკლასო აქტივობა N	**რესურსი**
1.1	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
1.2	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
1.3	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
1.4	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
1.5	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.youtube.com/watch?v=3SkLcdpdXw0
1.6	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა

1.1 აქტივობა. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს დისკუსიას, რომელზეც გამოიკვეთება, თუ რატომ არის საჭირო ერთობლივად შევთანხმდეთ „თამაშის წესებზე“, ხოლო შემდეგ, ურთიერთობის პროცესში, დავიცვათ ეს წესები - რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთობა ან ვერ შედგება, ან ხანმოკლე იქნება, ან რთული კონფლიქტებით აღსავსე.

1.2 აქტივობა. მასწავლებელმა დისკუსიის შემდეგ მოსწავლეებს უნდა უთხრას, რომ მსოფლიოში არ არსებობს აზრთა ერთიანობა და დღესაც მიმდინარეობს კამათი ამ საკითხებთან დაკავშირებით. მთავარია, ყველა შემთხვევაში გავითვალისწინოთ როგორც ადამიანთა მისწრაფებები, ისე გარშემო არსებული რეალობა.

1.3 აქტივობა. დისკუსიის მსვლელობისას მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს, რათა მათ თავიანთი ხედვების სისწორე გაამყარონ როგორც ზოგადად მსოფლიო ისტორიიდან, ისე საკუთარი ცხოვრებიდან მოყვანილი მაგალითებით. დასასრულს მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს, რომ მხოლოდ ერთი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში შედეგი ვერ მიიღწევა.

მაგალითად: ყველა ქვეყანას შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიებით (ავტომობილი, ინტერნეტი და ა. შ.) სარგებლობა, მაგრამ ზოგან საზოგადოება კეთილდღეობას აღწევს (მაგალითად, ევროპა, აშშ), ზოგან კი სიღარიბე სუფევს და კონფლიქტების წარმოშობის მაღალი ალბათობაა (განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი) - თუ საზოგადოებამ არ დაამკვიდრა საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლიანი ნორმები, მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ან ტექნოლოგიების არსებობა პრობლემას ვერ მოაგვარებს.

1.6. აქტივობა. მსჯელობის პროცესში ან დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა უნდა ახსნას, რომ კარგი ხელისუფლების ქცევა საზოგადოების რეალური საჭიროებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაგალითად:

Don't copy

- არის შემთხვევები, როცა ხელისუფლებამ სწრაფად, ზოგჯერ საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად შეიძლება იმოქმედოს: პანდემიის პირობებში არ იქნება სწორი საჯარო დისკუსიების გამართვა, იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი საზოგადოებრივი შეკრებები უნდა შეიზღუდოს, რადგან ამას ეპიდემიის ახალი აფეთქება შეიძლება მოჰყვეს;
- როცა საუბარია გრძელვადიან შედეგებზე, საჭიროა თავიდან მოხდეს შეთანხმება არჩეულ გეზთან დაკავშირებით: თუ ხელისუფლება გეგმავს, მაგალითად, დასახლების კეთილმოწყობას, მან უნდა გაარკვიოს, რა მოლოდინები აქვთ მოქალაქეებს, გააცნოს მათ თავიანთი გეგმები და მიიღოს მათი მხარდაჭერა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი მიზანი უნდა იყოს საზოგადოების მდგრადი, სტაბილური, ხანგრძლივვადიანი განვითარების ხელშეწყობა და მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდა.

პარაგრაფი N2 სახელმწიფოს მიზანი და სტრუქტურა

მოსწავლეს დაეხმარება გაიგოს, თუ რას ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო - რა წესებით მოქმედებს იგი და როგორ უკავშირდება ზოგადად სახელმწიფოებრიობის გაგება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.

პარაგრაფი მოიცავს 13 საერთო-საკლასო აქტივობას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს 1 კომპლექსური დავალება.

საკლასო აქტივობა N	რესურსი
2.1	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.2	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.3	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.4	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.5	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.6	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.7	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.8	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.9	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=62
2.10	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა http://www.library.court.ge/upload/samartlis_kalaki_for%20web.pdf
2.11	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://hoj.ge/tu-policielma-gagvachera/ https://radioway.ge/news/human-rights/item/302-ra-uplebebi-gvaqvs-tu-polizieli-quchashi-gvacherebs
2.12	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
2.13	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.facebook.com/watch/?v=493701274113156; http://mastsavlebeli.ge/?p=26300
2.14	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=960

Draft copy

2.1 აქტივობა. პროცესში მოსწავლეთა დასახმარებლად მასწავლებელმა მაგალითად შეიძლება მოიყვანოს:

- ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის ან ძველი ინდოეთის ცივილიზაციები, რომლებიც დიდი მდინარეების გარშემო ერთიანი სარწყავის სისტემის ფუნქციონირების მიზნით შეიქმნა;
- ძველი საბერძნეთის პოლისები ან ვიკინგების გაერთიანებები, რომელთა მიერ განხორციელებული მარბიელი ომები ამ ქვეყნების მოსახლეობის (ან მათი ნაწილის) სავაჭრო ინტერესების დაცვას თუ შემოსავლების ზრდას ისახავდა მიზნად.

2.2 აქტივობა. მასწავლებელმა მოსწავლეებს შეიძლება შეახსენოს რამდენიმე მაგალითი:

- ჰუნების ან თემურ-ლენგის სახელმწიფოები, რომლებიც ერთი პირის ინტერესების მიხედვით იმართებოდა
- სახელმწიფო იქმნება ადამიანთა ჯგუფის მიერ - რომის იმპერია მხოლოდ რომაელთა (რომის მოქალაქეთა) ინტერესებს იცავდა და არა ყველა მცხოვრებისას, როგორებიც იყვნენ მონები, დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობა და ა.შ.. ნაცისტური გერმანია ცდილობდა დაეპყრო მსოფლიო და შეექმნა ისეთი წესრიგი, სადაც მხოლოდ გერმანელი ერი იბატონებდა;
- სახელმწიფოს ქმნის მთელი საზოგადოება - თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოები, სადაც ხელისუფლება საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობაზეა პასუხისმგებელი.

2.3 აქტივობა. თუ საჭირო გახდა, განვლილი მასალის გახსენების შემდეგ, დისკუსიის შეჯამებისას მასწავლეველმა შეიძლება გაახსენოს მოსწავლეებს, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ჯერ სამოქალაქო უფლებები ვითარდება (პირადი თავისუფლებისა და ქონების ქონის უფლება), შემდეგ - პოლიტიკური უფლებები (სიტყვის თავისუფლება, ხელისუფლების არჩევა), ბოლოს კი სოციალ-ეკონომიკური უფლებები (სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, განათლების სფეროებში სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები).

2.6 აქტივობა. მასწავლებელმა შეიძლება ბოლოს მოსწავლეებს განუმარტოს, რომ ისტორიის მანძილზე, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, ხელისუფლების ცენტრალიზება და გადაჭარბებული კონსოლიდაცია, საბოლოოდ, გარდაუვალად წარმოშობს კრიზისებს, რაც ასეთი ტიპის ხელისუფლებების დაცემით სრულდება (ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები).

2.7 აქტივობა. სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ძალაუფლების დანაწილება საჭიროა იმისათვის, რომ ერთი და იგივე ადამიანი თუ სტრუქტურა არ იყოს ერთდროულად წესების დამდგენი, წესების შემსრულებელი და ამ პროცესის საბოლოო არბიტრი და გადაწყვეტილებების მიმღები მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით.

2.8 აქტივობა. მოსწავლეებმა VIII კლასის მოქალაქეობის კურსიდან უნდა გაიხსენონ (თუ საჭირო გახდა, მასწავლებლის დახმარებით), რომ მრავალდონიანი მმართველობის სისტემისა და თვითმმართველობის განვითარება აუცილებელია იმისათვის, რომ: 1. ყველა მოქალაქემ მიიღოს საზოგადოებრივი სიკეთე, რისი ერთი ცენტრიდან მიწოდება შეუძლებელია და 2. ყველა ცალკეულ მოქალაქეს ან მოქალაქეთა მცირე ჯგუფებს შეექმნათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და საკუთარი ინტერესების დაცვის შესაძლებლობა.

Draft copy

2.11 აქტივობა. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებთან ერთად მოახდინოს დამატებითი წყაროების (ორ მითითებულ ბმულებზე განთავსებული ინსტრუქციების), ან ერთ-ერთი მათგანის, განხილვა.

დისკუსიის ბოლოს, დასკვნის სახით, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გაუმეოროს, რომ მოქალაქე საკუთარ უფლებებს მხოლოდ მაშინ იცავს, თუ იგი კარგადაა ინფორმირებული და იცის, კონკრეტულ სიტუაციაში როგორ მოიქცეს.

2.12 აქტივობა. დისკუსიის მსვლელობისას მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა განუმარტოს, რომ მოქალაქის დაკავება არ ნიშნავს იმას, რომ იგი დამნაშავეა. ის შეიძლება იყოს, უარეს შემთხვევაში, ეჭვმიტანილი და არა ბრალდებული. ბრალდების უფლება და შესაბამისი სასჯელის დაწესება სამართლებრივ სახელმწიფოში მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს, თავი წარმოიდგინონ სიტუაციაში, როცა მას არაფერი ჩაუდენია და აკავებენ.

2.13 აქტივობა. სურვილის შემთხვევაში, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დამატებით შესთავაზოს, უყურონ სერიალს „როცა ისინი დაგვინახავენ“ („when they see us“), სადაც აღწერილია უდანაშაულოდ დაპატიმრებული, აფროამერიკელი მოზარდების ისტორია.

მასწავლებელს ასევე შეუძლია, შემდეგ გაკვეთილებზე მოაწყოს სერიალის განხილვა, რესურსებში მითითებულ წყაროში (http://mastsavlebeli.ge/?p=26300) მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

2.14 აქტივობა. თუ ეს საჭირო გახდა, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა განუმარტოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით არსებული კანონის არა გაუქმებას, არამედ შეჩერებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელისუფლებას (უპირველეს ყოვლისა, პარლამენტს) აკისრებს ვალდებულებას, შეცვალოს კანონი.

პარაგრაფი N3 სამართლებრივი სახელმწიფოს არსი

მოსწავლეს დაეხმარება გაიგოს, თუ რა არის სამართლებრივი სახელმწიფო და რა პრინ-ციპების მიხედვით მოქმედებს იგი.

პარაგრაფი მოიცავს 11 საერთო-საკლასო აქტივობას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს 1 კომპლექსური დავალება.

საკლასო აქტივობა N	**რესურსი**
3.1	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.2	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.3	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.4	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.5	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.6	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.7	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.8	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა

Don't copy

3.9	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
3.10	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა http://gdi.ge/uploads/other/0/575.pdf
3.11	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0; https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
3.12	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
3.13	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

3.1 აქტივობა. მსჯელობის შეჯამებისას მასწავლებელმა უნდა აღნიშნოს, რომ არათანაბარი მიდგომა სხვადასხვა ადამიანის მიმართ არა მარტო უსამართლოა, არამედ დიდი კონფლიქტების წყაროცაა. გრძელვადიან პერსპექტივაში ამ გზით არც საერო კეთილდღეობა იქნება მიღწეული და არც მშვიდობა.

3.2 აქტივობა. სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ტოტალიტარული სისტემა ყველა შემთხვევაში დემოკრატიული სახელმწიფოს ანტიპოდია, სადაც სამართლებრივი სახელმწიფოს არც ერთი პრინციპი არ მოქმედებს. ტოტალიტარულ სისტემებში, დემოკრატიული სახელმწიფოებისგან განსხვავებით:

1. არ არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები, ან ეს გარანტიები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა;
2. კანონები და სახელმწიფოს საქმიანობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებისა და სისტემის დაცვაზე;
3. ყველა ადამიანი არ არის თანასწორი კანონის წინაშე. ხშირად ხელისუფლების წარმომადგენლებს დიდი პრივილეგიები აქვთ და ამავე დროს, სხვადასხვა კანონის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან თავისუფალნი არიან. მაგალითად, საბჭოთა კავშირში სოფლის მცხოვრებლებს არ ჰქონდათ პასპორტები. გლეხებს ეკრძალებოდათ სოფლის დატოვება და ქალაქში ცხოვრება. თუ გლეხი ქალაქში წასვლას გადაწყვეტდა, მას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან უნდა აეღო ნებართვა თითოეულ გასვლასთან დაკავშირებით, ამასთან 30 დღეში იგი სოფელში უნდა დაბრუნებულიყო. ეს წესი მხოლოდ 1956 წელს გაუქმდა და სოფლის მცხოვრებლებს პასპორტები მიეცათ. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქისათვის პასპორტების მიცემისა და თავისუფალი გადაადგილების პროცესი სრულად მხოლოდ 1982 წელს დასრულდა;
4. ფორმალურია ძალაუფლების დანაწილება ხელისუფლების შტოებს შორის: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო შტოები ერთი პირის ან ადამიანთა ერთი ჯგუფის (ერთი პარტიის და ა. შ.) ხელშია;
5. არ არსებობს რეალური თვითმმართველობა, გადაწყვეტილებებს ადგილობრივი ხელისუფლებები არა ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად, არამედ ცენტრიდან მიღებული ბრძანებების საფუძველზე იღებენ, და ისიც ცენტრის მხრიდან მკაცრი კონტროლის პირობებში.

Don't copy

3.3 აქტივობა. მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი მასალა ე.წ. „თვითმფრინავის ბიჭების საქმესთან“ დაკავშირებით - დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ (2001).

3.5 აქტივობა. მსჯელობის პროცესში ან ბოლოს მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შეახსენოს იურიდიულად გამართული, მაგრამ ბუნებით არასამართლიანი სისტემის მაგალითი - მონათმფლობელობა: ძველ რომში, ასევე აშშ-ში მონობის გაუქმებამდე კანონით რეგულირდებოდა მონების სტატუსი, მათი ყიდვის, ფლობის, გაყიდვის წესები. როგორც წესი, ეს კანონები საყოველთაო იყო, მათ ყველა ემორჩილებოდა, ანუ სამართლიანად ეხებოდა ყველას (მონათმფლობელსაც და მონასაც). ამავე დროს თავად კანონი იყო არაჰუმანური და არასამართლიანი.

3.6 აქტივობა. მასწავლებელს შეუძლია აღნიშნოს, რომ კანონის უზენაესობის იდეა ახალი დროის, ან თუნდაც, ბოლო საუკუნეების მოვლენა კი არ არის, იგი კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არსებობდა.

3.7 აქტივობა. მსჯელობისას მასწავლებელმა შეიძლება დასვას კითხვები:

- „სჭირდებოდათ თუ არა მდიდრებს ქუჩაში ძილი და მათხოვრობა?“
- „რეალურად ვის შეიძლებოდა შეხებოდა კანონით დაწესებული სასჯელი?“
- „იყო თუ არა კანონი თანაბარი მდიდრების და ღარიბებისათვის?“

3.9 აქტივობა. დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს უთხრას, რომ ეს საკითხი მეტად მტკივნეულია ახლაც, ორივე ხედვას ჰყავს თავის მომხრეები მსოფლიოში, სხვადასხვა შემთხვევებთან დაკავშირებით, დროდადრო ხდება საკითხის აქტუალიზაცია.

3.11 აქტივობა. დისკუსიის მიზანია, მოსწავლეებს დაანახოს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციისა და საქართველოს დღეისათვის მოქმედი, 1995 წლის, კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც განხილულ საკითხებს არეგულირებს, მსგავს პრინციპებს ეფუძნება, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ფრაზებითაა გადმოცემული.

დისკუსიის შეჯამებისას მასწავლებელმა შეიძლება აღნიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუცია იმ პერიოდისათვის უსწრებდა თავის ეპოქას. მასში ასახული ღირებულებები მსოფლიომ მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ აღიარა საყოველთაოდ.

პარაგრაფი N4 მოქალაქეთა როლი სამართლებრივ კულტურის დამკვიდრებაში

მოსწავლეები გაიაზრებენ როგორ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაში. მაგალითად როგორ მიიღონ მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესებში.

პარაგრაფი მოიცავს 14 საერთო-საკლასო აქტივობას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს 1 კომპლექსური დავალება.

Don't copy

საკლასო აქტივობა N	**რესურსი**
4.1	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.2	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://bit.ly/3E4DUaa
4.3	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.4	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.5	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.youtube.com/watch?v=QQrt-OZeh8Y
4.6	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.7	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.8	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://tabula.ge/ge/news/540308-ghvedi-chveni-arsebobisa
4.9	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.facebook.com/VolvoCarSakartvelo/videos/774835243309878
4.10	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146
4.11	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://parliament.ge/legislation/23418 - დეკრეტული შვებულება საკანონმდებლო წინადადება https://parliament.ge/legislation/24303 არასამტავრობო ბაღების აღდგენა https://parliament.ge/legislation/24349 გარემოს დაცვაზე ბრაკონიერობა https://parliament.ge/legislation/24397 გაფანტული სკლეროზი ნგო პეტიცია
4.12	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
4.13	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://m.facebook.com/news.on.ge/videos/278510657429746?_rdr https://www.youtube.com/watch?v=CQLNUNGPpv4
4.14	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა

4.1 აქტივობა. მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს დისკუსიას, რომელზეც გამოიკვეთება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან კანონის აღსრულება და დანაშაულზე ადეკვატური რეაგირება. ამავე დროს, აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ მართლმსაჯულების აღსრულება მხოლოდ სახელმწიფოს შესაბამის შტოს შეუძლია და მოქალაქეებს ერთმანეთის დასჯის უფლება არ აქვთ. მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს სასჯელის სახეებსა და მიზნებზე.

4.2 აქტივობა. 2010-2011 წლებში როდესაც უსაფრთხოების ღვედის მოხმარების მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე ახლაა, ჯარიმები თითქმის არ იწერებოდა, რადგან სამართალდამცავებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ აღნიშნულ სამართალდარღვევას. მას შემდეგ რაც კანონის აღსრულება დაიწყო, მოიმატა ჯარიმების რაოდენობამაც. კანონის აღსრულების სიმკაცრეს ჰქონდა თავისი შედეგი, როდესაც 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით იკლო ერთი მხრივ სამართალდარღვევებმა და სავარაუდოა, რომ კანონის

Don't copy

აღსრულების სიმკაცრემაც. ამ უკანასკნელმა კი გარკვეული გავლენა იქონია საზოგადოების დამოკიდებულებაზე,და ნელ-ნელა კვლავ იმატა სამართალდარღვევის შემთხვევებმა, თუმცა იმის გამო რომ კანონის აღსრულება კვლავ მკაცრია (დაჯარიმების გაზრდილი მაჩვენებელი 2018-2019) 2019 წლიდან შემთხვევებმა ისევ კლება დაიწყო.

პარაგრაფი N5 საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ

მოსწავლეს დაეხმარება გაიგოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქეების მხრიდან დანაშაულის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულება მისი შემცირებისთვის. გააცნობიერებენ ცალკეული მოქალაქის როლს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში.

პარაგრაფი მოიცავს 7 საერთო-საკლასო აქტივობას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მომზადდეს 1 კომპლექსური დავალება.

საკლასო აქტივობა N	რესურსი
5.1	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა https://www.youtube.com/watch?v=TvjW-gCwhGYU https://www.youtube.com/watch?v=-Hu1DwXEv0w
5.2	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
5.3	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
5.4	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
5.5	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
5.6	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა
5.7	მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემული მასალა

5.1 აქტივობა. მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, ეკონომიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა, უგულვებელყოფა და იძულება.

ბავშვზე ძალადობის და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის ნახვა შეგიძლიათ საიტებზე http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze/ http://legalaid.ge/ka/services/180/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

5.6 აქტივობა. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ნახოთ საიტი http://phf.org.ge/ka/recommendations/ojaxshi-dzaladoba-/

Don't copy

როგორ დავწეროთ პროექტი?

რეკომენდაციები მოსწავლებითვის

1. საკითხის/პრობლემის შერჩევა პროექტისთვის

სასურველია პროექტისთვის შეარჩიოთ ისეთი თემა, რომელიც თქვენთვის ნაცნობიადა თქვენ ირგვლივ ბევრ ადამიანს აწუხებს.

საკითხის/პრობლემის შესარჩევად შეგიძლიათ:

- გაეცნოთ თქვენი თანატოლების მიერ განხორციელებულ ინიციატივებს საიტზე https://civics.ge/
- ჩაატაროთ გამოკითხვა თემში. გაიგოთ, რა საკითხები აწუხებთ თქვენს თანატოლებს, სამეზობლოს, სკოლის საზოგადოებას (რომელია ყველაზე აქტუა- ლური პრობლემა? რომელი მათგანის მოგვარებაში შეგიძლიათ წვლილის შეტანა?).

პროექტისთვის საკითხის შესარჩევად დაგეხმარებათ იმის ცოდნაც, რომ პროექტის მიზნები ერთმანეთისგან განსხვავდება და შეიძლება გულისხმობდეს:

- საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას (მაგ., ვირუსების თავიდან არიდების მიზნით ჰიგიენის წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ.);
- ქველმოქმედებას (მაგ., ხელნაკეთი ნივთების გაყიდვით შემოსული თანხით მარტოხელა მოხუცებისთვის საკვები პროდუქტის შეძენა.);
- **რაიმე პრობლემის მოგვარებისთვის ადვოკატირების კამპანიის წარმართვას** (მაგ., მიუსაფარი ძაღლებისთვის თავშესაფრის გახსნის ან ტრანსპორტის დანიშვნის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება);
- **ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას** (მაგ., სპორტული მოედნის მოწყობა/მო- წესრიგება).

2. შერჩეულ საკითხზე/პრობლემაზე ინფორმაციის მოძიება

მას შემდეგ, რაც პროექტისთვის საკითხი/პრობლემა უკვე შერჩეულია, მნიშვნელოვანია მის შესახებ მოიძიოთ ინფორმაცია. ამ ეტაპზე მოპოვებული ინფორმაცია დაგეხმარებათ, დაასაბუთოთ პრობლემის აქტუალურობა და გამოკვეთოთ პოტენციური მხარდამჭერები. დაფიქრდეთ, ვის ეხება თქვენ მიერ შერჩეული პრობლემა, რა იწვევს მას, ვისზე ან რაზე ახდენს იგი გავლენას, ვის ევ- ალება და შეუძლია მისი მოგვარება (ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად შეგიძლიათ ჩაატაროთ გამოკითხვა). არის კიდევ ერთი კითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც დაგეხმარებათ მხარდამჭერ- ების აღმოჩენაში: ვინ არის დაინტერესებული ამ პრობლემის მოგვარებით? თუ არსებობს მსგავსი პრობლემების მოგვარების გამოცდილება ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე? ამ კითხ- ვაზე პასუხის მოძიებისას (მაგ., თუ თქვენი პროექტი ეხება გამწვანებას, შეგიძლიათ, ინტერნეტში, საძიებო ველში ჩაწეროთ: *გამწვანების აქცია; გამწვანების პროექტი* და ა.შ) თქვენ აღმოაჩენთ საინიციატივო ჯგუფებს, ორგანიზაციებს, რომლებიც თქვენს შერჩეულ თემაზე მუშაობენ. გარდა საინიციატივო ჯგუფებისა და ორგანიზაციებისა, პროექტის განხორციელებისას თქვენ შეგიძლიათ ითანამშრომლოთ მედიასთან, ადგილობრივთვითმმართველობასთან, რომელთა შესახებაც მეტ ინ- ფორმაციას სახელმძღვანელოს შემდეგ პარაგრაფებში მიიღებთ და შეიძლება თქვენი თანამშრომ- ლობაც რეალური გახდეს.

მეშვიდე კლასის სახელმძრვანელოდან თქვენ გახსოვთ, რომ სკოლაში არსებობს სხვადსხ- ვა ჯგუფი, მაგალითად, დირექცია და მოსწავლეთა თვითმმართველობა. ორივე შეიძლება გახდეს თქვენი მხარდამჭერი ინიციატივის განხორციელებისას (ამისთვის გააცანით მათ თქვენი იდეები, სთხოვეთ მხარდაჭერა, მაგალითად, ადამიანური ან ტექნიკური რესურსით).

Don't copy

3. პროექტის მიზნისა და შედეგის განსაზღვრა

მესამე ეტაპზე თქვენ უნდა განსაზღვროთ, რისი მიღწევა გსურთ. მიზნის სწორად ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ ე.წ. შMAღთ-მოდელი, რომლის მიხედვით მიზანი უნდა იყოს:

- სპეციფიკური/კონკრეტული;
- გაზომვადი;
- მიღწევადი;
- რელევანტური/შესაბამისი;
- დროში გაწერილი.

ამ მოდელის უკეთ გაზრებისთვის გაეცანით შMAღთ-ის შესახებ შექმნილ ინფოგრაფიკას, რომელშიც მოყვანილია შესაბამისი მაგალითები.

მაგალითები:

ბუნდოვანი მიზანი – საგზაო მოძრაობის წესების პოპულარიზაცია.

კონკრეტული მიზანი – 2020-2021 სასწავლო წელს ჩვენი სკოლის მე-8 კლასისმოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

თუკი მიზანს სწორად ჩამოაყალიბებთ, არც შედეგის განსაზღვრა გაგიჭირდებათ, რადგან შედეგი სწორედ მიღწეული მიზანია.

4. მიზნის ამოცანებად დაშლა

მეოთხე ნაბიჯი იმ ამოცანების განსაზღვრაა, რომლებიც მიზნამდე მიგვიყვანს. მაგალითად, თუ თქვენი მიზანი სკოლის მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის სპორტული მოედნის მოწყობა და სპორტული აქტივობების ორგანიზებაა, თქვენი ამოცანები შეიძლება იყოს:

Don't copy

სპორტული მოედნის მოსაწყობად სკოლის დირექციისნებართვის და მხარდაჭერის მოპოვება; სპორტულიმოედნის მოსაწყობად სპონსორების მოძიება; მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართვა სპორტულ აქტივობებში.

5. აქტივობების დაგეგმვა და რისკების გან-საზღვრა

ამ ეტაპზე თქვენ უნდა განსაზღვროთ, რა აქტივობა გჭირდებათ იმისთვის, რომ დასახული ამოცანებიშეასრულოთ და მიზანს მიაღწიოთ. მაგალითად, თქვენი პროექტის აქტივობები შეიძლება იყოს:

სპორტული მოედნის მოწყობისთვის ადგილის შერჩევა, იდეის მხარდამჭერ მოსწავლეთა ხელმოწერების შეგროვება, დირექციასთან შეხვედრა და მათთვის თქვენი იდეის გაცნობა, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია სპორტული მოედნის მოწყობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტული აქტივობების გამართვა, მოსწავლეთა დაინტერესებისთვის საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

ამავე ეტაპზე უნდა გადაწყვიტოთ, ვინ იქნება თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი – ვინ, როდის, სად და როგორ განახორციელებს მათ.

აუცილებელია განსაზღვროთ რისკებიც და მათთან გამკლავების გზებიც. მაგალითად, არსებობს რისკი, რომ ვერ მოიპოვოთ ბიზნესის წარმომადგენლების მხარდაჭერა და, შესაბამისად, ვერ მოახერხოთ სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის იმგვარად მოწყობა, როგორც ჩაფიქრებული გქონდათ. ამის თავიდან აცილების მიზნით სცადეთ თანამშრომლობა რამდენიმე სხვადასხვა ბიზნესკომპანიასთან, რომლებსაც ნათლად დაანახვებთ, რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი (ამით მხარს დაუჭერენ მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზებას; თუკი დაგეხმარებიან, ეს მათთვის ერთგვარი რეკლამა იქნება).ᲫᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, უნდა აუხსნათ, ზუსტად რა ტიპის მხარდაჭერას ელით მათგან (მაგ., კალათბურთის ფარის შეძენა ან სპორტული მოედნის ზედაპირის დაგება). თუ თანამშრომლობა მაინც არ მოხერხდა, შეგიძლიათ მოაწყოთ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და შემოსული თანხით შეიძინოთ საჭირო ინვენტარი, ან მიიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსში, რომლებიც აფინანსებს მოსწავლეთა პროექტებს.

6. პროექტის ბიუჯეტი

დეტალურად უნდა გათვალოთ პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები (როგორც ადამიანური, ისე – მატერიალურ-ტექნიკური). ბიუჯეტის იოლად შესადგენად თვალი გადაავლეთ დაგეგმილ აქტივობებს და ჩამოწერეთ, რა არის მათი განხორციელებისთვის საჭირო. მაგალითად, სპორტული ღონისძიების ჩატარებისთვის შეიძლება დაგჭირდეთ კალათბურთის ბურთი, ლახტი და ა.შ. მოიძიეთ ინფორმაცია ამ ნივთების ღირებულების შესახებ, რათა დაფინანსების მოპოვების მცდელობისას პოტენციურ მხარდამჭერს ზუსტად გააცნოთ, რა გჭირდებათ პროექტისთვის.

7. შეფასება და თვითშეფასება

აქტივობების განხორციელების შემდეგ მიღწეული შედეგებისა და საქმიანობის შეფასება დაგეხმარებათ გამოცდილების უკეთ გააზრებასა და სამომავლო პროექტების სწორად დაგეგმვაში. ამ ეტაპისთვის შეიძლება დაგეხმაროთ ეს კითხვები: მიაღწიეთთუ ვერა დაგეგმილ შედეგს? რამ შეგიწყოთ და შეგიშალათ ხელი? რა იყო ყველაზე მარტივი ან რთული? რა გამოცდილება მიიღეთ? როგორ გამოიყენებთ ამ გამოცდილებასსამომავლოდ? და ა.შ.

Do not copy

ალტერნატიული კომპლექსური დავალებები

ცნება – საზოგადოება

საკითხი – ძალადობა

დაწერე ბლოგი თემაზე – „რა გავლენას ახდენს ოჯახში ძალადობა პიროვნების განვითარებაზე“.

ბლოგში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა და როგორ აისახება ის პიროვნების განვითარების პროცესზე?
- რა გავლენა აქვს ძალადობას ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? სხვადასხვა საკითხის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებების ჩამოყალიბებზე?
- როგორ მოქმედებს ძალადობა ადამიანტა შორის ურთიერთობაზე

ცნება – სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება

საკითხი – საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება სამართლებრივი გზებით

შექმენი კომიქსი, რომელშიც პერსონაჟების დახმარებით გადმოსცემ თუ როგორ შეიძლება მოქალაქეებმა წვლილი შეიტანონ სამოქალაქო პრობლემების მოგვარებაში (აირჩიეთ ერთი პრობლემა).

კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინე

- რას გულისხმობს საზოგადოებრივი პრობლემები და როგორ აისახება ის ადამიანების ცხოვრებაზე ლოკალურ თუ გლობალურ დონეზე?
- ვინ და რატომ უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე?
- როგორ შეიძლება მოქალაქემ წვლილი შეიტანოს საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარებაში?
- ვისთან თანამშრომლობით მოგვარდება აღნიშნული პრობლემა უფრო მარტივად?

Don't copy

საათების განაწილება

შედეგების ინდექსი	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	საზოგადოებრივი ხელშეკრულება	სახელმწიფოს მიზანი და სტრუქტურა	სამართლებრივი სახელმწიფოს არსი	მოქალაქეთა როლი სამართლებრივ კულტურის დამკვიდრებაში	საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ
მოქ.საშ.1.	გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი ქმედებისას უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვის უფლებების კონვენცია) გათვალისწინება;	6	7	7	10	10
მოქ.საშ.2.	საზოგადოებისთვის აქტუალური გლობალური და ლოკალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით;	6		7	10	10
მოქ.საშ.3.	მდგრადი განვითარების პრინციპების გააზრებით მოქმედება (მათ შორის, ყოველდღიურ და საგანგებო (ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეულ) ვითარებაში უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება);				10	10
მოქ.საშ.4.	საზოგადოებაში პოზიტიურ ცვლილებებზე ორიენტირებული იდეების ლობირება და ადვოკატირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით.		7		10	10

Don't copy

განმავითარებელი კომენტარი

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ. დამუშავებული მასალის გამოყენებით შექმენით საგაზეთო სტატია სათაურით „რისთვის გვჭირდება წესები“.

საგაზეთო სტატიაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას და ისტორიებს წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ (აქტივობები N4 და N5). დამუშავებული მასალის გამოყენებით შექმენით საგაზეთო სტატია, სათაურით – „რისთვის გვჭირდება წესები“.
- საგაზეთო სტატიაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:
- რატომ არის საჭირო უსაფრთხო გარემო პიროვნების თავისუფლად ჩამოყალიბებაში და როგორ უწყობს ამას ხელს საზოგადოებაში არსებული შეთანხმებული და აღიარებული წესები? **(საზ. მკ.წ. 1;3;4)**
- როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე? და რა როლი აქვს ცალკეულ მოქალაქეს საზოგადოებრივი წესების შექმნასა თუ დაცვაში? **(საზ. მკ.წ. 2)**
- რატომ არის მნიშვნელოვანი ასერტულობა საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობებისთვის? და როგორ უკავშირდება საზოგადოების ჰარმონიული ურთოერთობა საზოგადოებრივ წესებს და მოთხოვნილებებს? **(საზ. მკ.წ. 2; 3; 4)**

ცნება – საზოგადოება; საკითხი – საზოგადოებრივი წესები	
რა გააკეთა მოსწავლემ, რომელ დონეზეა ის	**განმავითარებელი კომენტარი**
პრესტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში არ ჩანს არც ერთი მოსაზრება საზოგადოებრივი წესების შესახებ	გაიხსენე, რა გსმენია საზოგადოებრივი წესების შესახებ, გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია
უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში საუბრობს წესებზე თუმცა ვერ გამოკვეთს, თუ როგორ უკავშირდება ის საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას	შენ სწორად განმარტავ თუ რა არის საზოგადოებრივი წესები იმისთვის, რომ დავალებაში ასევე გამოიკვეთოს სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მაგ., როგორ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წესები ადამიანების ურთიერთობებზე გირჩევ დაკვირვებით გაეცნო სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას, და მოინიშნო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხებს გაპოვნინებს.

Don't copy

მულტისტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში ჩანს, ინფორმაცია ადამიანის საზოგადოებრივი წესების შესახებ. ასახელებს რამდენიმე მათგანს, ყურადღებას ამახვილებს წესების აუცილებლობაზეც, თუმცა ვერ აკავშირებს ვინ და რატომ უნდა მიიღოს და დაიცვას ისინი. და რა გვალენა აქვს მას საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. მისი მსჯელობა ფრაგმენტული, არაარგუმენტირებული და არათანმიმდევრულია.	ნამდვილად ბევრი რამ იცი საკითხთან დაკავშირებით. შენ მიერ დასახელებული წესები და მათი დაცვა მართლაც მნიშვნელოვანია. შემდეგი ნაბიჯია დააკავშირო რატომ არის საზოგადოებრივი წესები მნიშვნელოვანი საზოგადოების მშვიდებიანი თანაცხოვრებისთვის, ვინ და როგორ უნდა იღებდეს აღნიშნულ წესებს. როგორი უნდა იყოს ეს წესები იმისთვის რომ ხელი შეუწყოს პიროვნების თავისუფლად განვითარებას, მშვიდობასა და უსაფრთხოებას. შესაძლოა დავალების დაწერამდე კომპლექსური დავალების პირობის კიდევ ერთხელ გადაკითხვა დაგეხმაროს ხოლმე მსჯელობის თანმიმდევრულად აგებაში.
მიმართებითი დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის საზოგადოებრივი წესების მნიშვნელობა, ხსნის მათი ჩამოყალიბების საჭიროებას მოჰყავს ფაქტები თუ როგორ ყალიბდება მსგავსი წესები. მოსწავლე მსჯელობს თუ როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების დაცვა ან დარღვევა ადამიანის ცხოვრებაზე. მკაფიოდ აფიქსირებს, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი წესები იმისთვის რომ მან დადებითი ეფექტი მოახდინოს ადამიანების უფლებებსა და თანაცხოვრებაზე. განმარტავს რატომ არის საზოგადოებრივი წესების დაცვა მნიშვნელობანი და ვის ევალება მათი დაცვა.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ გესმის საზოგადოებრივი წესების არსი. გესმის როგორ და რატომ უნდა ყალიბდებოდნენ ისინი. როგორი უნდა იყოს წესები რომ ერთი მხრივ იცავდენ ადამიანის უფლებებს და თან ხელს უწყობდნენ საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას. სამომავლოდ ეცადე დავალებაში წარმოაჩინო არა მხოლოდ პარაგრაფიდან მიღებული ინფორმაცია, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით დაგროვილი ან თუნდაც ამ საკითის შესახებ სხვა საგნებში შეძენილი შესაბამისი ცოდნა.
აბსტრაქტული დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის საზოგადოებრივი წესების მნიშვნელობა, ხსნის მათი ჩამოყალიბების საჭიროებას. მოჰყავს ფაქტები თუ როგორ ყალიბდება მსგავსი წესები. მოსწავლე მსჯელობს თუ როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების დაცვა ან დარღვევა ადამიანის ცხოვრებაზე. მკაფიოდ აფიქსირებს, თუ როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი წესები იმისთვის რომ მან დადებითი ეფექტი მოახდინოს ადამიანების უფლებებსა და თანაცხოვრებაზე. განმარტავს რატომ არის საზოგადოებრივი წესების დაცვა მნიშვნელობანი და ვის ევალება მათი დაცვა. საკუთარი მსჯელობის გასამყარებლად მოჰყავს ადეკვატური მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ გესმის საზოგადოებრივი წესების არსი. გესმის როგორ და რატომ უნდა ყალიბდებოდნენ ისინი. როგორი უნდა იყოს წესები რომ ერთი მხრივ იცავდენ ადამიანის უფლებებს და თან ხელს უწყობდნენ საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას. მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის დავალებას, რადგან გამოყენებული გაქვს არა მარტო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები, არამედ იხსენებ საკუთარ გამოცდილებასაც.

Don't copy

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით კომიქსი, რომელშიც წამოაჩენთ სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ არის ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი? **(დემოკ. მკ.წ. 1; 4)**
- ვის ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და როგორ უნდა იცავდეს ამ უფლებებს? **(დემოკ. მკ.წ.2; 3)**
- ადამიანის უფლებების დაცვის რა მექანიზმები არსებობს? **(დემოკრ. მკ.წ.2; 3)**

ცნება – დემოკრატია, საკითხი – სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში	
რა გააკეთა მოსწავლემ, რომელ დონეზეა ის	**განმავითარებელი კომენტარი**
პრესტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში არ ჩანს არც ერთი მოსაზრება თუ როგორ უნდა იცავდნენ სახელმწიფო სტრუქტურები ადამიანის უფლებებს	გაიხსენე, რა გსმენია ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოს შესახებ, გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში საუბრობს ადამიანის უფლებების მნიშვნელობაზე, მაგრამ არაფერს ამბობს თუ ვინ და როგორ უნდა იცავდეს მათ.	შენ სწორად ხსნი ადამინის უფლებების მნიშვნელობას, იმისთვის, რომ დავალებაში ასევე გამოიკვეთოს მათი დაცვის მექანიზმები და სახელმწიფოს როლი მათ დაცვაში გირჩევ დაკვირვებით გაეცნო სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას, და მოინიშნო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხებს გაპოვნინებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში ჩანს, რომ მან იცის რას ნიშნავს ადამიანის უფლებები, ახსენებს სახელმიფოს ვალდებულებას მათი დაცვის კუთხით, თუმცა ვერ აკავშირებს ადამიანის უფლებების დაცვის კონკრეტულ მექანიზმებსა თუ სტრუქტურებს სახელმწიფოსთან.	ნამდვილად ბევრი რამ იცი საკითხთან დაკავშირებით. კარგია, რომ ყურადღებას ამახვილებ ადამინის უფლებების დაცვის მნიშვნელობასა და უფლებების დაცვის კუთხით სახელმწიფოს როლზე. შემდეგი ნაბიჯია სახელმწიფოს მოვალეობას – დაიცვას ადამიანის უფლებები დაუკავშირო შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები და სახელმწიფო სტრუეექტურები. დაფიქრდი ვის ევალება მოქალაქის უფლებების დაცვა? რა ნაბიჯები უნდა გადადგან ამისთვის? შესაძლოა, დავალების დაწერამდე კომპლექსური დავალების პირობის კიდევ ერთხელ გადაკითხვა დაგეხმაროს მსჯელობის თანმიმდევრულად აგებაში.

Don't copy

მიმართებითი დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის ადამიანის უფლებების მნიშვნელობა, და სახელმიფოს როლი მათ დაცვაში. სწორად ასახელებს და განმარტავს სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ გესმის ადამიანის უფლებების არსი და სახელმწიფოს როლი მათ დაცვაში. სწორად ასახელებს სამართლებრივ მექანიზმებს და მათი გამართულად მუშაობის მნიშვნელობას. სამომავლოდ ეცადე დავალებაში წარმოაჩინო არა მხოლოდ პარაგრაფიდან მიღებული ინფორმაცია, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით დაგროვილი ან თუნდაც ამ საკითის შესახებ სხვა საგნებში შეძენილი შესაბამისი ცოდნა.
აბსტრაქტული დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის ადამიანის უფლებების მნიშვნელობა, და სახელმიფოს როლი მათ დაცვაში. სწორად ასახელებს და განმარტავს სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. მოსწავლე იხსენებს მაგალითებს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და პირადი ცხოვრებიდან.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობებს. მკაფიოდ და გამართლად აყალიბებ აზრებს. მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის დავალებას, რადგან გამოყენებული გაქვს არა მარტო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები, არამედ იხსენებ საკუთარ გამოცდილებასაც.

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით პოსტერი/ინფოგრაფიკა რომელშიც წამოაჩენთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და მათ განსხვავებას არადემოკრატიული სახელმწიფოებისგან.

პოსტერში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო საიდან მოდის და რა როლი აქვს კანონს ასეთ სახელმწიფოში? **(დემოკ. მკ.წ. 4; 3)**
- რით განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფო არასამართლებრივი სახელმწიფოს-გან? როგორ აისახება ეს სხვაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე? **(დემოკ.მკ.წ. 3; 4)**

Don't copy

ცნება – დემოკრატია, საკითხი – სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები	
რა გააკეთა მოსწავლემ, რომელ დონეზეა ის	**განმავითარებელი კომენტარი**
პრესტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში არ ჩანს არც ერთი მოსაზრება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე	გაიხსენე, რა გსმენია სახელმწიფოს შესახებ, გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში საუბრობს დემოკრატიის მნიშვნელობაზე, მაგრამ არაფერს ამბობს თუ როგორ უკავშირდება ის სამართლებრივ სახელმწიფოს.	შენ სწორად განმარტავ დემოკრატიის მნიშვნელობას, ის მართლაც დიდ როლს თამაშობს სამართლებრივი სახელმიფოს ჩამოყალიბებაში, იმისთვის, რომ დავალებაში ასევე გამოიკვეთოს დემოკრატიის გავლენა სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესზე, გირჩევ დაკვირვებით გაეცნო სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას, და მოინიშნო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხებს გაპოვნინებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში ჩანს, რომ მან იცის რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო, ახსენებს რამდენიმე პრინციპს, თუმცა ვერ აკავშირებს მათ ადამიანის უფლებებთან, არ საუბრობს სამართლებრივი და ტოტალიტარული სახელმწიფოს განსხვავებებზე.	ნამდვილად ბევრი რამ იცი საკითხთან დაკავშირებით. კარგია, რომ ყურადღებას ამახვილებ სამართლებრივი სახელმწიფოს პრონციპებზე. შემდეგი ნაბიჯია სამართლებრივი სახელმწიფოს დაკავშირება ადამიანის უფლებების დაცვასთან, ეს დაგეხმარება გამოკვეთო ტოტალიტარულ სახელმწიფოსა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის განსხვავებებიც. დაფიქრდი, ვის ევალება მოქალაქის უფლებების დაცვა? რა ნაბიჯები უნდა გადადგან ამისთვის? შესაძლოა, დავალების დაწერამდე კომპლექსური დავალების პირობის კიდევ ერთხელ გადაკითხვა დაგეხმაროს მსჯელობის თანმიმდევრულად აგებაში.
მიმართებითი დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობა, მსჯელობს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე როგორც ერთ-ერთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე. საპირისპიროდ მოჰყავს ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მაგალითი.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ გესმის სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების არსი და სამართლებრივი სახელმწიფოს როლი მათ დაცვაში. სამომავლოდ ეცადე დავალებაში წარმოაჩინო არა მხოლოდ პარაგრაფიდან მიღებული ინფორმაცია, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით დაგროვილი ან თუნდაც ამ საკითის შესახებ სხვა საგნებში შეძენილი შესაბამისი ცოდნა.

Don't copy

აბსტრაქტული დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს, რომ მან იცის სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელობა, მსჯელობს ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე როგორც ერთ-ერთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპზე. საპირისპიროდ მოჰყავს ტოტალიტარულ სახელმწიფოებში ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის მაგალითი. მოსწავლე იხსენებს მაგალითებს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და პირადი ცხოვრებიდან.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობებს. მკაფიოდ და გამართლად აყალიბებ აზრებს. მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის დავალებას, რადგან გამოყენებული გაქვს არა მარტო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები, არამედ იხსენებ საკუთარ გამოცდილებასაც.

კომპლექსური დავალების პირობა

კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა მოქალაქის ერთ-ერთი უფლებაა. შექმენით საკანონმდებლო ინიციატივა/საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია, რომლითაც მოითხოვთ რაიმე საკითხის შესახებ კანონის მიღებას ან შეცვლას. გააცანით თქვენი იდეა ოჯახის წევრებს, სკოლის საზოგადოებას და შეაგროვეთ ხელმოწერები.

საკანონმდებლო ინიციატივაში/საკანონმდებლო წინადადებაში/პეტიციაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ უნდა მიიღოს/შეცვალოს თქვენ მიერ მითითებული კანონი საკანონმდებლო ორგანომ? **(დემკ. მკ.წ. 2; 3)**
- რატომ და როგორ უნდა დაუჭირონ მხარი მოქალაქეებმა ამ იდეას? **(სამ.მონ. მკ.წ 1; 2; 3; 4; 5)**
- როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე ისე მთლიანად საზოგადოებაზე? **(მდგ. განვ. მკ. 1; 2)**

ცნება – დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება საკითხი – კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა	
რა გააკეთა მოსწავლემ, რომელ დონეზეა ის	**განმავითარებელი კომენტარი**
პრესტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში არ ჩანს შერჩეული პრობლემა ან იდეა, ან მათი განხორციელების გზა.	შეარჩიე რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც მოამზადებ საკანონმდებლო ინიციატივას/წინადადებას/პეტიციას. გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.

Don't copy

უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში საუბრობს შერჩეული საკითხის თუმცა არ ჩანს მისი დასაბუთება, და იდეა.	შეარჩიე რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც მოამზადებ საკანონმდებლო ინიციატივას/წინადადებას/პეტიციას. გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში ჩანს შერჩეული საკითხი და იდეა თუმცა ნაშრომში არ იკითხება, თუ რატომ უნდა შეიტანონ მათი შეთავაზებული ცვლილება. როგორ მოაგვარებს მათი იდეა შერჩეულ პრობლემას და რატომ უნდა დაუჭირონ მოქალაქეებმა მხარი.	ნაშრომში კარგად ჩანს შერჩეული საკითხიც და იდეაც, რომელიც მოაგვარებს აღნიშნულ საკითხს. თუმც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბუნდოვანია, შესაბამისად არაა მკაფიო დასაბუთება თუ რატომ უნდა მიიღოს პარლამენტმა შეთავაზებული ცვლილება. დაფიქრდი, რა გავლენა ექნება მიღებულ კანონს ადამიანების ცხოვრებაზე, როგორ აისახება ის პრობლემაზე, რომელიც შენი ნაშრომისთვის შეარჩიე. დავალების დაწერამდე კომპლექსური დავალების პირობის კიდევ ერთხელ გადაკითხვა დაგეხმაროს მსჯელობის თანმიმდევრულად აგებაში.
მიმართებითი დონე მოსწავლის ნაშრომში მკაფიოა შერჩეული საკითხიც, იდეაც და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებიც. მოსწავლე კარგად ასაბუთებს თუ რატომ უნდა მიიღოს პარლამენტმა აღნიშნული წინადადება და როგორ შეცვლის ეს ადამიანების ცხოვრებას უკეთესობისკენ.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. ჩანს როგორც შერჩეული საკითხი/პრობლემა, ასევე მისი გადაჭრის ადეკვატური იდეა. მკაფიოა მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირიც. ასაბუთებ თუ რატომ უნდა მიიღოს პარლამენტმა აღნიშნული წინადადება და როგორ შეცვლის ეს საზოგადოების ცხოვრებას უკეთესობისკენ. ნაშრომში ჩანს მოქალაქეების როლიც
აბსტრაქტული დონე მოსწავლის ნაშრომში მკაფიოა შერჩეული საკითხიც, იდეაც და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირებიც. მოსწავლე კარგად ასაბუთებს თუ რატომ უნდა მიიღოს პარლამენტმა აღნიშნული წინადადება და როგორ შეცვლის ეს ადამიანების ცხოვრებას უკეთესობისკენ. მოსავლეს მოჰყავს მსგავსი გადაწყვეტილებების მაგალითები, რომელბიც დამოუკიდებლად მოიძია.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობებს. მკაფიოდ და გამართლად აყალიბებ აზრებს. მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის დავალებას, რადგან გამოყენებული გაქვს არა მარტო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები, არამედ იხსენებ საკუთარ გამოცდილებასაც.

კომპლექსური დავალების პირობა

გაეცანით მოცემულ პარაგრაფს, აირჩიეთ რომელიმე დანაშაული (მაგალითად ოჯახში ძალადობა) და შექმენით ვიდეოსიუჟეტი თემაზე **„საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში“.**

Don't copy

ვიდეოსიუჟეტში თვალნათლივ წარმოადგინეთ:

- როგორ აისახება შერჩეული დანაშაული პიროვნების ცხოვრებაზე, მის განვითარებასა თუ უსაფრთხოებაზე? **(საზ. მკ.წ. 1; 2) (მდგ.გა. მკ.წ 1)**
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში? ვინ და როგორ უნდა დაიცვას ეს უფლებები? **(დემოკ. მკ.წ 1; 2; 3)**
- როგორია საზოგადოების დამოკიდებულებები აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით? **(საზ. მკ.წ. 1)**
- როგორია მოქალაქეების როლი მსგავსი დანაშაულების შემცირებაში? რა ნაბიჯები უნდა გადაიდგან ამისთვის? **(სამ. მონ. 2; 3, 4, 5, მდ.განა. მკ.წ 2)**

ცნება – დემოკრატია, საზოგადოება, მდგრადი განვითარება, სამოქალაქო მონაწილეობა **საკითხი – „საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში**	
რა გააკეთა მოსწავლემ, რომელ დონეზეა ის	**განმავითარებელი კომენტარი**
პრესტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში არ ჩანს არც ერთი დანაშაული და მისი შედეგები	გაიხსენე, რას ნიშნავს დანაშაული, როგორ აისახება ის ადამიანების ცხოვრებაზე? შეარჩიე ერთ-ერთი მადგანი. გაეცანი სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას და მოინიშნე საკითხთან დაკავ-შირებული ინფორმაცია.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლე ნაშრომში შერჩეულ დანაშაულზე, მაგრამ არაფერს ამბობს თუ როგორ აისახება ის ადამიანის ცხოვრებასა და უფლებებზე.	პირველი ნაბიჯი გადადგმულია, შენ შერჩეული გაქვს დანაშაული, ახლა დაფიქრდი, როგორ აისახება ის ადამიანის ცხოვრებაზე, მის უფლებებზე. გირჩევ დაკვირვებით გაეცნო სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ მასალას, და მოინიშნო ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხებს გაპოვნინებს.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლის ნაშრომში ჩანს შერჩეული დანაშაული, მისი შედეგები, თუმცა არ ჩანს როგორ შეუძლია მოქალაქეს წვლილი შეტანოს დანაშაულის შემცირებაში, არც საზოგადოების დამოკიდებულების შესახებაა მკაფიო ინფომაცია.	დანაშაული და მისი შედეგები კარგად გაქვს გამოკვეთილი. ახლა აქცენტი უნდა გაკეთდეს მისი შემცირების გზებზე და იმაზე თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოებას ტუ ცალკეულ მოქალაქეს. შესაძლოა, დავალების დაწერამდე კომპლექსური დავალების პირო-ბის კიდევ ერთხელ გადაკითხვა დაგეხმაროს მსჯელობის თანმიმდევრულად აგებაში.

Don't copy

მიმართებითი დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს შერცეული დანაშაული და მისი გავლენა როგორც ცალკეულ ადამიანზე ასევე საზოგადოებაზე. მოსწავლე გამოკვეთს თუ როგორ და რატომ უნდა მონაწილეობდეს როგორც საზოგადოება ისე თითოეული მოქალაქე აღნიშნული დანაშაულის შემცირებაში.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობას. მოყვანილი მაგალითებით ჩანს, რომ გესმის დანაშაულის შედეგები და აცნობიერებ რამდენად მნიშველობანია მათი შემცირება/აღმოფხვრა. სწორად სვამ აქცენტებს საზოგადოებისა და მოქალაქის როლზე ამღნიშნული დანაშაულის შემცირების პროცესში. სამომავლოდ ეცადე ნაშრომი გაამდიდრო მაგალითებით, რომელიბიც სახელმძღვანელოში არ არის მოცემული და ან გაკვეთილებზე არ განგვიხილია.
აბსტრაქტული დონე მოსწავლის ნაშრომში ნათლად ჩანს შერცეული დანაშაული და მისი გავლენა როგორც ცალკეულ ადამიანზე ასევე საზოგადოებაზე. მოსწავლე გამოკვეთს თუ როგორ და რატომ უნდა მონაწილეობდეს როგორც საზოგადოება ისე თითოეული მოქალაქე აღნიშნული დანაშაულის შემცირებაში. მოსწავლე იხსენებს მაგალითებს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და პირადი ცხოვრებიდან.	შენი ნაშრომი სრულად პასუხობს დავალების პირობებს. მკაფიოდ და გამართლად აყალიბებ აზრებს. მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები ძალიან მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის დავალებას, რადგან გამოყენებული გაქვს არა მარტო სახელმძღვანელოში მოცემული მაგალითები, არამედ იხსენებ საკუთარ გამოცდილებასაც.

Don't copy